№ 2869
შაბათი,
23 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2869
შაბათი,
23 ივლისი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, **№ 27.** განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოუწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **ხურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

21 ივლისს, მცირე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ქალთა გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფე

თამარა ალექსანდრეს ასული ნებიერიძე,

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგთ გარდაცვალებულის **დედა შვილებითურთ.**

პანაშვიდი 23 ივლისს, საღამოს 7 საათზე, განსვენება კვირას, 24 ივლისს, 10 საათზე, გოგიაშვილის სახლიდან № 21 (ვეძინის ქუჩა) სამების ეკლესიაში. დაკრძალულ იქნება კუკიის სასაფლაოზე. (1—უ.—1)

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის“
ამხანაგობა
ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.
ვაჭრობა
მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.
100,000 მანეთისა.
მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება ამაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც აქ გაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით უეჭველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.
ფასები შეუვაჭრებლად.
ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—63)

ქუთაისის გამგეობა

წმ. ნინოს საქველმოქმედო საზოგადოებისა ამით აცხადებს, რომ ამ აკადემიურ წლის დასაწყისიდან სწავლის ფული ემატებათ ქუთაისის საქალებო წმინდა ნინოს სასწავლებლის მოწაფეებს—თითო თუმანი (ათი მანეთი) და ამიტომ გადახდებათ ნახევარი წლის ფული მოსამზადებელ კლასების მოწაფეებს 30 მანეთი, 1, 2, და მესამე კლასებისას—32 მ. 50 კ.; 4, 5, 6 და 7 კლასებისას 35 მან. და 8 და 9 კლასებისას 40 მანეთი, (3—1)

პეტერბურგის ამხანაგობა
„ნადეჟდა“
ტფილისის კანტორა 1 აგვისტოდან გადადის კნ. რატიშვილის სახლში (თავ. ირაკლისეული), სოლოლაკის და ფრეილინის ქუჩების კუთხეში და ოტტენის აფთიაქის პირდაპირ. (3—92—1)

რადგანაც ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო მუშაობამ და ვაჭრობამ საგრძნობლად იკლო, გამგეობა ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

„არტელი“-სა

სთხოვს ამავე არტელის წევრთ, მობრძანდნენ კვირას, 24 ივლისის კრებაზედ ამხანაგობის საქმეების განსახილველად თანახმად 45 მუხლისა ამხანაგობის წესდებისა. კრება შესდგება ელისაბედის ქუჩაზედ პრიკაშჩიკოვის სახლში № 25.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი ივანიშვილისა № 15.

ექიმი
გ. ა. გედევანიშვილი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდი. (80—6.—6)

კბილის ექიმი
ივანე კ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—8. კვირა-უქმით 10—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
21 ივლისი.

ბუნჯულინი (საკ. კორესპ.). კორეის ომის ასპარეზიდან მოსულ მოხსენების თანახმად, მუსალიენგის აღმოსავლეთით ბრძოლა სწარმოებდა, რაც მდინარეების ადიდების გამო შესწყდა. ჩვენ მოგვიკლეს ერთი აფიცერი და 7 უბრალო ჯარის-კაცი და დაგვიჭრეს სამი აფიცერი და 14 უბრალო ჯარის-კაცი.

ხაბაროვსკი. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ იაპონელები ხაბაროვსკს დაეცნენ, ისინი ქალაქისა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთაგან ენერგიულ წინააღმდეგობას მიიღებენ.

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა 20 ივლისის თარიღით: „კორეიდან იუწყებიან, 12 ივლისს, საღამოს 6 საათზე ჩვენმა რაზმმა უკუაგდო იაპონელების რაზმი, რომელიც ლაშქრად მოდიოდა პიაკსა-ბანგის ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ, მუსალიენგის აღმოსავლეთითო“. დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული პეტერგოფს წაბრძანდა საზაფხულოდ.

ნიუ იორკი. ერთმა კორესპონდენტთაგანმა აუწყა უმავთულო ტელეგრაფით გემ „კაიზერ ვილჰელმ“-იდან, რომ ვითომც ვიტტეს ეთქვას: „მეშინია, რომ მოლაპარაკება ერთ კვირაში გათავდება, ვინაიდან იაპონელების პირობების მიღება შეუძლებელია“ და ვითომც ვიტტეს კიდევ შემდეგი ეთქვას: „გაზეთებში იუწყებიან, რომ მე მონდობილი მაქვს გამოვიკვლიო ნიადაგი ამერიკაში რუსეთის სესხის შესახებ და მოლაპარაკება გავმართო—ეს ტყუილია. მე მხოლოდ ზავზე უნდა გავმართო მოლაპარაკება“. ამ ცნობის შესახებ სატომ სთქვა, რომ ვიტტეს სიტყვები ანცვიფრებენ მას, ვინაიდან მიკადოს რწმუნებულების მეტმა არავინ იცის იაპონელების პირობები.—„თვითონ რუზველტმა, რომელმაც შუაკაცობა უნდა იკისროს, არა იცის დაწვრილებით ჩვენი პირობები და არც ის ბაზა, რაც საფუძვლად უდევს ჩვენს მოთხოვნებსა“-ო. ვიტტემ განაცხადა, რომ რუსეთი, მართალია დამარცხებულია, მაგრამ მაინც სასტიკი მტერია და რუსეთის დამალულ ძლიერებას საერთოდ ძლიერ დაბლა აყენებენო.—ამ ჟამად ამერიკის ჟურნალ-გაზეთობა პესიმისტურად უცქერის ზავის საქმეებს.—„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის ცნობით, რუზველტმა აუწყა კომურას იაპონელების პირობები და შეუძლებლად მიაჩნია იმათი მიღება.

დონის როსტოვი. კავკასიის რკინის გზის მატარებლები იგვიანებენ როსტოვში მოსვლას. ფიქრობენ, რომ ერთის დღის შემდეგ დაიწყება წესიერი მიმოსვლა.

სიმფეროპოლი. მელიტოპოლის საბჭოს საშურ სხდომაზე გადასწყვიტეს პრინციპიალური საჩივარი აუტეხონ დამზღვევ საზოგადოებათ, რომელთაც უარი განაცხადეს იმ ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც არეულობის დროს გაჩენილმა ცეცხლმა მიაყენა.

პეტერბურგი. ზღვის არხში დაიწვა ინგლისის გემი, დატვირთული 150 ათას ფუთ ბენზინით, ნავთით, სანთლით და სხვა საქონლით, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთისთვის იყო დანიშნული. ზარალი 300 ათასი მანეთია.

ოდესა. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა სამმართველომ მისწერა ტელეფონის საზოგადოებას, სავსებით დააკმაყოფილეთ ტელეფონისტკებისაკენ შემოტანილი მოთხოვნებიო.

პერმი. დღეს დასრულდა ზარბაზნის ქარხნების მუშების ნახევარ თვის გაფიცვა. ყველა ამქრები მუშაობენ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
20 ივლისი

ნიუ-იორკი. მოგზაურობის დროს ვიტტემ შემდეგი უთხრა „ასსოსიეტედ პრესსი“-ის კორრესპონდენტს: „ყველგან ევროპასა და ამერიკაში არამც თუ ცოტათი იცნობენ რუსეთს და მისს საწინააღმდეგო ძალას, არამედ სცდებიან კიდეც, როცა ფიქრობენ, რომ რუსეთმა ისეთი ადგილი დაიჭირა სახელმწიფოებში, რომ მას შეიძლება ყურ-დღებაც არ მიექცესო. იაპონიამ ისეთი ნაბიჯი გადასდგა წინ წარმატების გზაზე, რამაც აიძულა რუსეთი, იაპონია მრისხანე მტრად მიეჩნია. იაპონელებს ჯერ არ მიუღწევიათ იმ წარმატებისთვის, რომელსაც მას აწერენ. იაპონელებმა ოთხჯერ მეტი უნდა წაიწიონ წინ, რომ რუსის ტერიტორიას მიაღწიონ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლოთ მათ წარმოედგინათ ზავის პირობები. რუსეთის შინაური ამბები ვერ იქონიებენ გავლენას მისს საგარეო პოლიტიკაზე, მით უფრო ომის გაგრძელებასა ანუ გათავებაზე. რუსეთის ერის დიდი უმეტესობა არ აძლევს ომს იმ მნიშვნელობას, რასაც ამერიკა-ევროპაში აწერენ მას. იაპონიასთან ომს რუსეთში უცქერიან, როგორც ძლიერ დაშორებულ კოლონიალურ ომს, მაგრამ რუსეთის მთელი ერი ფეხზე დადგება, რომ მისს სამშობლოს რაიმე საფრთხე მოელოდეს. შემდეგ ვიტტე ამბობს, რომ იგი მომხრეა მშვიდობიანობისა, როგორც რუსი და როგორც ადამიანი, რომლის მოქმედება ყოველთვის იმისკენ იყო მიმართული, რომ ომი აეცილებინათ თავიდან. იაპონელებს ერთნაირი გრძნობები უნდა აღფრთოვანებდეთ, მათ უნდა ესმოდეთ, რომ რუსეთისთვის ომი სასურველია და არა საჭირო, რუსეთი არ მიიღებს ისეთ პირობებს, რომელნიც, თუნდაც გარეგნულადაც, ჩირქს მოსცხებდნენ რუსეთის ღირსებასო.

ტოკიო, 21 ივლისი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ რუსის ორი კონტრ-ნაღმოსანი გამოჩნდნენ დილით ჩინჩინის ახლოს ჩრდილოეთ კორეიაში და იერიში მიიტანეს პატარა სავაჭრო გემ „კეიშომარუ“-ზე, 60 ჯერ ესროლეს მას, 7 ყუმბარა მოარტყეს მარცხენა გვერდსა, სამანქანო განყოფილებას და ხიდში, მოჰკლეს კაპიტანი და დასჭრეს ორი მატროსიო. ნაღმოსნებმა დილის 5 ს. შესწყვიტეს სროლა და ვლადივასტოკს წავიდნენ. „კეიშომარუ“-მ განაგრძო გზა. (რეიტერი).

ტოკიო. სახალინის სამოქალაქო მმართველობის მოსამსახურენი 24 ივლისს მიდიან კუნძულზე. ადმინისტრატიული ცენტრი ალექსანდროვსკში იქნება.

ვლადივასტოკი. სამხედრო აგენტები წავიდნენ მთავარ სარდლის შტაბში. ჩინელებმა ხაბაროვსკისკენ წაიყვანეს ცოლშვილი. ციხე საალყო მდგომარეობაშია. ხორცის ფასმა 60 კ. აიწია გირვანქაზე, მარილი—15 კ.

ნიუ-იორკი. რუსეთის ერთმა რწმუნებულთაგანმა განაცხადა, რომ ვიტტესა და კომურას ერთნაირი რწმუნება აქვთო. ვიტტეს ინსტრუქციები ხელს უწყობენ მოლაპარაკებას, და საჭიროა, რომ თვითონ ვიტტემ სცნოს ზავის პირობების მიღება შესაძლებლად. ვიტტეს ერთმა მეგობართაგანმა სთქვა, რომ [illegible] მოთმინებითა და დამშვიდებული ელოდება იაპონიის პირობებზე ცნობასო.

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტის 25 ივლისს უმაღლესად დამტკიცებულ დებულებით, პეტერბურგსა და პეტერბურგის საგრადონაჩალნიკოში გაძლიერებული დაცვა გასტანს, სანამ 1881 წ. 14 აგვისტოს დებულებას გადასხედავდნენ, მაგრამ არა უგვიანეს ერთის წლისა. „პრავიტ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, ტყუილია ის ცნობა, ვითომც პოლიციის მოხელე მოროზს აეკრძალოს „ოფფ. სლოვო“-სთვის „პეტ. სააგენტო“-ს დეპეშებისა და მობილიზაციის შესახებ ცნობების ბეჭდვა.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტრის თანაშემწე გარინი დაინიშნა ზოლიციის დეპარტამენტის დირექტორად. დღეს, 21 ივლისს, გაიხსნა სხდომა ნავთის კრიზისის შესახებ; თავმჯდომარეობს ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ტიმირიაზევი. უნდა გამოიკვლიონ კრიზისის სიდიდე, მიზეზები და ზომები მის თავიდან ასაცილებლად.

სტოკჰოლმი. დღეს დაიხურა რიკსტაგის საგანგებო სესსია.

ოდესა. რუსეთ-დუნაის ზღვაოსნობა აარსებს რეგულიარულ სასაპალნეო მისვლა-მოსვლას რენისა და ოდესას შორის, რათა ოდესაში მოიზიდონ პურის საპალნეები, რომელნიც პრუტის და დუნაის და პრიპრუტის რაიონებიდან გაჰქონდათ ბრაილოვისა და ჰალაცში. არსდება შავისა და აზოვის ზღვების გემებზე მომუშავეთა ურთიერთ შორის დამზღვევი საზოგადოება.

მინსკი. ძლიერმა სეტყვამ გაანადგურა რეჩიცის მაზრაში 400 დესეტ. ყანა-ნათესი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სორმოვოს ქარხნის ადმინისტრაციამ გადასწყვიტა 1 აგვისტოდან დროებით დახუროს ქარხანა და დაითხოვოს მუშები

კოპენჰაგენი. გერმანიის იმპერატორი ზასსნიცში წავიდა.

პარიზი. სპარსეთის შაჰი ოსტენდეში წავიდა.

იალტა. საბრალმდებლო აქტი დაწიოკების შესახებ დაამტკიცა პალატამ. ბრალდებული 86 არის, მოწმეები, ბრალდების მხრივ, 372.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის პირობა. მეტად არეული ცნობები იბეჭდება რუსეთისა და იაპონიის პირობებზე. ერთი გაზეთი ამტკიცებს, რუსეთი სთანხმდება კონტრიბუციის გადახდასაო. მეორე სულ სხვას ირწმუნება. ვიტტეს რწმუნებაზეც არა ნაკლებად ჭრელი ცნობები იბეჭდება. ზოგი ირწმუნება, სრული ფართო რწმუნება აქვს, ზოგი ამტკიცებს, იმისი რწმუნება სრული არაა და შეზღუდულიაო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი ბეჯითად ამტკიცებს, რომ ვიტტეს რწმუნება შეზღუდულიაო; ნაბძანები აქვს, ნურამცა და ნურამც ნუ დასთანხმდებით კონტრიბუციის გადახდასაო. სამაგიეროდ ვიტტეს ნება აქვს დართული, მანჯურიისა, კორეისა და პორტ-არტურის საქმეში ბევრი რამ დაუთმოს იაპონელებს, მაგრამ არამცა და არამც არ დასთანხმდეთ კონტრიბუციის გადახდას, ვლადივასტოკის სიმაგრეების დანგრევას და ვლადივასტოკის რკინის გზის გადაცემას, იმ დრომდე მაინც, სანამ იაპონელები არ დაიჭირენ ამ გზასო. მაგრამ გაზეთი უმატებს, იქნება იმპერატორების შეხვედრის შემდეგ ვიტტემ სხვა ინსტრუქცია მიიღოო. („რ. ს.“).

რამდენი ჯარი ჰყავთ იაპონიასა და რუსეთს ომის ასპარეზზე? როგორც ვიცით, რუსეთის სამხედრო პარტია ძლიერ წინააღმდეგია შერიგებისა და ბეჯითად თხოულობს ომის გაგრძელებას. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. შემდეგსა სწერს ამის თაობაზე: „თუმცა ზავზე მოლაპარაკება მალე დაიწყება, რუსეთისა და იაპონიის ჯარის შორის ჯერ დროებითი შერიგება არაა ჩამოვარდნილი. ეტყობა, მუკდენისა და ცუსიმას ბრძოლის თავზარ დამცემი შთაბეჭდილება ნელ-ნელა ქარწყლდება, ჩვენი მმართველი წრეები ხელ-ახლად ბრძოლის გუნებაზე მოვიდნენ და დამარცხებისა და დამცირებისათვის იაპონელებს სამაგიეროს გადახდას უქადიან. ამ წრეების დამქაშმა გაზეთებმა ხელ-ახლად წამოჰყვეს თავი და მხოლოდ საპატიო პირობით სთახმდებიან ზავის ჩამოგდებას,—შერიგება იმ პირობით უნდა მოხდეს, რომელიც იაპონელმა დიპლომატებმა ომამდე წარუდგინეს რუსეთსაო. რეაქციონური პრესა აშკარად ოცნებობს იაპონიის არმიის განადგურებას და ფიცსა სდებს, ოღონდ შერიგება ნუ მოხდება და 6 თვეზე დავიბრუნებთ ყველაფერს, რაც 18 თვეში დავკარგეთო. თუ იაპონიას შერიგება ჰსურს, პორტ-არტური აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს რუსეთსაო.

რაზეა დაფუძნებული ის იმედი, ვითომ ომის ასპარეზზე მალე ჩვენკენ გადმოტრიალდება სამხედრო ბედის ჩარხიო,—ეს ძნელი გასაგებია. ხელი უნდა ავიღოთ იმ იმედზეც, ვითომ იაპონიას მალე ძალა და ღონე გამოელევა და ომს ველარ შეიძლებსო იაპონიის ფინანსიური მდგომარეობა ეხლა უფრო მკვიდრია, ვიდრე როდისმე წინად ყოფილა და იაპონია ას მილიონ მანეთობით სესხულობს საზღვარ-გარეთ ფულსა, როდესაც ჩვენმა ფინანსთა მინისტრმა, ეს არის, ეხლა გარეშე სესხის გამოცემა ვერ მოახერხა, შემდეგ შინ, რუსეთში, დააპირა 150 მილიონ მანეთის სესხება, მაგრამ აქაც-კი გაუცრუვდა მეცადინეობა. იაპონიის ვაჭრობა აყვავებულია (მიმდინარე წლის პირველ ნახევარში იაპონიის გარეშე ვაჭრობას შედარებით 1904 წელთან 12% მოემატა) და იმის სავაჭრო ფლოტს წარსულ წელს 180 ათას ტონა წყალ-წყვის გემი მოემატა. ამავე დროს რუსეთის გარეშე ვაჭრობას მხოლოდ 1905 წლის პირველ სამ თვეს 29 მილიონი მანეთი (ესე იგი 9 პროცენ.) დააკლდა, ხოლო ჩვენი შორს მოსიარულე სავაჭრო ფლოტი თითქმის სულ განადგურდა. ბ. ბ. შოვინისტები (წრეს გადასული პატრიოტები) ურიგოს არ იქმნენ, რომ უფრო ბეჯითად ადევნონ თვალ-ყური რუსეთისა და იაპონიის სახელმწიფო სესხების კურსის მოძრაობას ლონდონის ბირჟაზე, რადგან ეს ბირჟა სწორე მაჩვენებელი და რეგულატორია მთელის ქვეყნიერობის ეკონომიურ ცხოვრებისა. 1905 წელს 6 მარტს, იაპონიის სესხის კურსი პირველად გაუსწორდა ჩვენის რენტის კურსსა (იაპონიის 4 პროც. სესხი და რუსეთის 4 პროც. რენტა თანასწორად $86^3/_4$ პროცენტად გადიოდა) ხოლო 17 მაისს იაპონიის სესხი პირველად ჩვენს რენტაზე ძვირად გადიოდა ($^1/_2$ პროცენტით) ივლისის დამდეგიდან, როცა ომი გაგრძელება შესაძლებლად ჩასთვალეს, ჩვენი სესხი უფრო დაბლა დაეცა, იაპონიისამ კი უფრო და უფრო მაღლა აიწია და ივლისში იაპონიის სესხების კურსი ლონდონში 3—$3^1/_2$% ით მაღლა იდგა რუსეთისაზე (მაგალითად 2 ივლისს იაპონიის 4%-ანი სესხი 88-ნახევრად ღირდა, ჩვენი 4%-ანი სესხი მარტო 85-ად. მაგრამ ჩვენის სახელმწიფო კრედიტის ასეთი უმაგალითო დაცემაც კი აღარ აფიქრებს, ეტყობა, ჩვენს „პატრიოტებს“.

სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ უკანასკნელ თვეებში რუსეთი ძლიერ ეცადა გენერალ ლინევიჩის არმიის შევსებას და მანჯურიაში ახალ მაშველ ჯარის გაგზავნას. გამოცხადებულ უმაღლეს ბრძანებიდან სჩანს, რომ ომის ასპარეზზე ახლად შეუდგენიათ მე-10 აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა დივიზია (4 პოლკი, 4 ბატალიონი თითოში), ვარშავის სამხედრო ოლქიდანაც მე-19 საარმიო კორპუსი იგზავნება შორეულ აღმოსავლეთს. როცა ეს ახალი ჯარიც ჩავა, გენ. ლინევიჩს ისეთი დიდი არმია ეყოლება, რომლის მსგავსი ჯერ არას დროს არა ჰყოლია რუსეთს არც ერთის ომის ასპარეზზე. ჩვენ მანჯურიის არმიაში შემოდგომის დამდეგამდე იქმნება 16 კორპუსი, 28 ქვეითა და 6 ყაზახის დივიზია, 6 ქვეითა და 3 ცხენოსანი ცალკე ბრიგადა და საკვირველი არ იქმნება, რომ გენ. კურობატკინისა, კაულბარსისა და ბატიანოვის სამს არმიას მეოთხე არმიაც მიემატოს. არმიის უკან დაბინავებული ჯარიც რომ არ ვიანგარიშოთ, გენ. ლინევიჩს, ანგარიშით, ნომინალურად 600 ათას კაცზე მეტი ეყოლება და 2 ათასზე მეტი ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი იქმნების. ხოლო რამდენი ჯარი ეყოლება ნამდვილად გენ. ლინევიჩს—ეს ძნელი სათქმელია. მუკდენთან განადგურების შემდეგ გენ. ლინევიჩის არმიის რიცხვი ცოტაოდნა სჭარბობდა 200 ათას კაცს და რომ გენ. ლინევიჩს შემდგომის პირამდე 600 ათასი სალდათი ჰყავდეს, მაშ ნახევარ წელიწადში, 1 მარტს აქეთ, სულ მცირედ 400 ათასი სალდათი უნდა გადაეყვანათ, ესე იგი საშუალოდ 65—70 ათასი კაცი თვეში. მაგრამ ომის პირველ წლის განმავლობაში თვეში 40—45 ათას კაცზე მეტი ვერ გადაჰყავდათ და ამიტომ საეჭვოა, რომ ეს შესაძლებელი იყოს ჩვენს წესებში.

უნდა ვიფიქროთ, რომ, თუ საქმე კარგად წავიდა, თვე-ნახევრის შემდეგ, გენ. ლინევიჩის არმიის რიცხვი ნახევარ მილიონამდე ავა. ამ ჟამად, უეჭველია, გენ. ლინევიჩს გაცილებით ნაკლები ჯარი ჰყავს, რადგან მე-19 კორპუსი თავის არტილერიით ჯერ კიდევ გზაშია. ამ ჟამად უეჭველია, გენ. ლინევიჩს სამსავე არმიაში ანგარიშით, ნომინალურად 567 ათასი კაცი უნდა ჰყავდეს და 1838 ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი უნდა ჰქონდეს, ნამდვილად-კი, 450 ათასი კაცი ეყოლება. იაპონელები, რომლებმაც ჩვეულებრივად საკმაოდ კარგად იციან ხოლმე ჩვენის არმიის მდგომარეობა, ირწმუნებიან, გენ. ლინევიჩს 400 ათას კაცზე მეტი არ ეყოლებაო.

სამხედრო გაზ. „რუსკი ინვალიდ“-ის ანგარიშით, მარშალ ოიამას ივნისში 19 მომქმედი დივიზია და 22 სარეზერვო და სათადარიგო ბრიგადა ჰყავდა, ანუ 450 ქვეითა ჯარის კაცი და 100—150 ათასი არტილერისტი, კავალერისტი, საპიორი და სხვა ჯარის კაცი, ასე რომ სულ 550—600 ათასი კაცი ჰყავდა. ჩვენა გვგონია, რომ „რუსკი ინვალიდ“-ის ანგარიში შემცდარი უნდა იყოს და ერთის თვის წინად იაპონიის მთავარ-სარდალს ამდენი ჯარი არ უნდა ჰყოლოდეს, თორემ მაშინ სულ სხვანაირად მოიქცეოდა. ჩვენის აზრით, მარშალ ოიამას ივნისში სულ 33 დივიზია, ანუ 500—550 ათასი კაცი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ ივნისის გასულს მარშალ ოიამას მარცხენა ფრთაზე, სინმინტინის რაიონში სამი ახალი დი-

ვიზია გაჩნდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მე-7 არმიის ნაწილი უნდა იყოს.

ეს არმია მარშალ ოიამას განაპირა მარჯვენა ფრთაზე იმოქმედებს, გენ. კავამურას მე-5 არმიის დასავლეთით. ამ სამის დივიზიის მოსვლის შემდეგ, მარშალ ოიამას, ჩვენის აზრით, სულ 36 დივიზია, ანუ დაახლოვებით 600 ათასი კაცი ეყოლება და 2400 ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი ექნება და იაპონელებს შეეძლებათ გაბედულად გაილაშქრონ წინ. ეხლა ჩვენში ყველანი ერთხმად აღიარებენ, რომ თუ გენ. ლინევიჩს გაცილებით მეტი ჯარი არ ეყოლება იაპონელებზე, უამისოდ გამარჯვება არ შეეძლიანო. მაგრამ ანგარიშიდან სჩანს, რომ ამ ჟამად იაპონელებს მეტი ჯარი ჰყავთ, ვიდრე გენ. ლინევიჩს. („რ. ვ.").

თვით-მმართველობის თეორიები

თანამედროვე სახელმწიფო მმართველობას მრავალი სხვა და სხვა უწყების დაწესებულება შეადგენს; ამ დაწესებულებათაგან ზოგი ცენტრალურია და ზოგი ადგილობრივი ან საოლქო; ადგილობრივი დაწესებულებანი ემორჩილებიან ცენტრალურს დაწესებულებებს. თითოეულ უწყების სათავეში განსაკუთრებითი მოხელე სდგას, რომელსაც ჩვეულებრივ მინისტრს უწოდებენ. მინისტრები ერთი მეორისაგან დამოუკიდებელნი არიან, მაგრამ მათს მოქმედებაში თანხმობისა და საერთო მიმართულების შესანახად ისინი ერთს კოლეგიას შეადგენენ. ორგანიზაცია მინისტრთა კოლლეგიისა და შეთანხმება მათის მოქმედებისა სახელმწიფოს კანონმდებლობის ორგანოსთან სხვა და სხვა ტიპის სახელმწიფოში სხვა და სხვა ნაირად არის მოწყობილი, მაგრამ ის პრინციპი, რომ ყველა მინისტრები ერთს გეგმაზე ჰმოქმედობდნენ, მაინც ყველგან განხორციელებულია; რუსეთში, მაგალითად, ამ აზრის განსახორციელებლად არსებობს მინისტრთა კომიტეტი და მინისტრთა საბჭო.

როგორც აქედან სჩანს, სახელმწიფოს მმართველობა აშენებულია ცენტრალიზმის პრინციპზე, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ყველა ორგანო მმართველობისა იმ გეგმაზე ჰმოქმედობს, იმ დანიშნულებას ასრულებს, რომელიც ცენტრში იქმნება მოფიქრებული და მიღებული.

ცენტრალიზმის პრინციპს არ ექვემდებარება მხოლოდ სასამართლო დაწესებულებანი, რომელნიც საერთო ბიუროკრატიულად არ არიან მოწყობილი, და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოები. სასამართლო გამოყოფილია ცენტრალიზმის სისტემიდან, რადგან იგი კანონიერების დამცველია, მიუკერძოებელი და არა აქტიურის მოქმედების ორგანო. თვითმმართველობა კი, პირიქით, სწორედ აქტიურ მოქმედებისთვის არის შექმნილი, მაგრამ იგი ცენტრალიზმის გარეშე სდგას. თუმცა რუსეთის ერობა 1890 წლის შესაჩნევად აძლიერებს მთავრობის კონტროლს საერობო ერთეულების მოღვაწეობაზე, მაგრამ ის მაინც ისევ დამოუკიდებელი ორგანოა და ცენტრალიზმის სისტემის ტოტს არ შეადგენს.

ამ გვარად ადგილობრივ თვითმმართველობა ეხლანდელ სახელმწიფო მმართველობითს სისტემაში ისეა შექმნილი, როგორც გარეშე რამ სხეული, და ეს გარემოება თავსამტვრევ საგნად გადაიქცა სახელმწიფოს თეორეტიკოსებისთვის. ისინი სცდილობდნენ და დღესაც სცდილობენ გაამართლონ გაერთიანებული, მთლიანს სახელმწიფოში ადგილობრივ თვითმმართველობის არსებობა და იურიდიული საფუძველი მოუპოვონ იმას.

სახელმწიფოს მრავალი საჭიროების დაკმაყოფილება სდევს კისრად, მრავალს ინტერესს უწევს იგი ანგარიშს, თავის ქვეშევრდომთა სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ მრავალს მიზანს ისახავს და ესწრაფვის მათს განხორციელებას. მაგრამ სახელმწიფოს არაფერი არ ავალებს, ყველა საჭიროება თავის საკუთარის ე. ი. მოხელეთა მოქმედებით დააკმაყოფილოს, არაფერი არ უშლის ხელს, როდესაც ხელსაყრელად სცნობს, ზოგი რამ ადგილობრივ მცხოვრებთაგან არჩეულ პირების მოქმედებით დააკმაყოფილოს. თვითმმართველობა სახელმწიფოსაგან შექმნილი ორგანოა, რომელსაც განსაზღვრულ საქმეების წარმოება ჰბარდება, თვითმმართველობის მოქმედება იგივე სახელმწიფოს მოღვაწეობაა.—ასეთია ერთი მიმართულება აზრისა თვითმმართველობის ბუნების გასაცნობიერებლად. ამ თეორიას უწოდებენ სახელმწიფოებრივ თეორიას თვითმმართველობისას.

ამ თეორიის ნაძალადევი ხასიათი და ნამდვილ ფაქტებთან შეუთანხმებლობა მალე ყველასათვის ცხადი შეიქნა. მალე დაინახეს, რომ შეუძლებელია, თვითმმართველობის ორგანოებს ისეთივე ადგილი მიეცეს მმართველობის სისტემაში, როგორც მოხელეებს, შეუძლებელია, იმიტომ რომ, თუ თვითმმართველობა სახელმწიფო საქმეს აკეთებს, სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურს ორგანოებს უფლება უნდა ჰქონდეთ მიზანი და მიმართულება მოქმედებისა თვითონ დაუყენონ მცხოვრებთაგან არჩეულს პირებს; სხვა ნაირად რომ ვთქვათ, თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორია რომ მართალი იყოს, იგი აუცილებლად ყველაფერში ცენტრალურ მმართველობის ორგანოებს უნდა ემორჩილებოდეს, იმათგან დამოკიდებული უნდა იყოს, ნამდვილად თვითმმართველობის მთავარი დამახასიათებელი თვისება დამოუკიდებლობაა.

რაკი სახელმწიფოებრივმა თეორიამ თავი ვერ დაიჭირა, იურისტებმა სხვა თეორია შეითხზეს, რომელსაც უწოდებენ თვითმმართველობის საზოგადოებრივს თეორიას. თვითმმართველობა აწარმოებს ადგილობრივს საზოგადო საქმეებს და არა სახელმწიფო საქმეებს, ამიტომ ამ საქმეების მაწარმოებელნი საზოგადოებისაგან უნდა იყვნენ დამოკიდებულნი და არა მმართველობისაგან, რომელიც მარტოოდენ სახელმწიფო საქმეებით არის დაინტერესებული.

ეს მეორე თეორია დამყარებულია საზოგადო და სახელმწიფო საქმეების პრინციპიალურ სხვადასხვაობაზე. მაგრამ რომელი საქმეა სახელმწიფო და რომელი საზოგადო, ამის გამორკვევა ყოვლად შეუძლებელია. აი, მაგალითად, სკოლების გახსნა; ვინ იტყვის რომ ეს საზოგადო საქმე არ იყოს, მაგრამ განა ის იმავე დროს სახელმწიფო საქმე-კი არ არის, განა სახელმწიფო-კი დაინტერესებული არაა ქვეშევრდომთა განათლებით? ხალხის გამოკვება, გზების გაყვანა, ქარხნების გახსნა ერთი სიტყვით, ყველა საქმე, რომელსაც-კი ან ერობა და ან მმართველობა აწარმოებს, ერთსა და იმავე დროს სახელმწიფოც არის და საზოგადოებრივიც. ამ გვარად საზოგადოებრივი თეორია თვითმმართველობისა ისევე შეუწყნარებელია, როგორც სახელმწიფოებრივი.

იურისტები, რომელნიც თვითმმართველობის თეორიებზე მსჯელობენ, თავის აზროვნების დასაბამად იმ შეხედულებას სთვლიან, რომლის ძალითაც სახელმწიფო წარმოიდგინება როგორც ერთგვაროვანი მთლიანი სხეული; დოკტრინულად სწამთ, რომ სახელმწიფოს უთუოდ ერთი ცენტრალური მმართველობა უნდა ჰქონდეს, ყოველი სახელმწიფო საქმე ამ ცენტრალურ მმართველობის ხელით უნდა კეთდებოდეს, და ამიტომ თვითმმართველობის ბუნების ახსნელად იძულებულ არიან ან ფიქციას (გამოგონებას) მიჰმართონ, ვითომც თვითმმართველობას მმართველობისაგან ჰქონდეს ჩაბარებული ზოგიერთის სახელმწიფო საქმის წარმოება, ან სხვადასხვაობა აღმოაჩინონ სახელმწიფოებრივის და საზოგადოებრივის საქმისა.

ვინც ცენტრალიზმის დოგმით საბოლოოდ მოხიბლული არ არის, იმის თვალში უცნაური არ უნდა იყოს, რომ სახელმწიფო საქმეს ერთსა და იმავე დროს ცენტრში მმართველობა აკეთებდეს და ოლქებში განსაკუთრებით ამ მიზნისთვის არჩეულნი პირნი.

ადგილობრივი თვითმმართველობა და ცენტრალური დაწესებულებანი ერთიერთმანეთს სრულიად არ უშლიან ხელს, თუმცა სხვა და სხვა პრინციპზე არიან მოწყობილი. საკმარისია ადამიანმა შეითვისოს აზრი, რომ სახელმწიფო საქმის წარმოება ცენტრის მონოპოლიას არ შეადგენს, და თვითმმართველობის პრობლემა თავის თავად გადაწყდება. მაშინ ჩვენ ადგილობრივს თვითმმართველობას სრულიადაც აღარ დავუპირდაპირებთ აღმასრულებელ მმართველობის ორგანოებს, ეს საჭირო აღარ იქნება. ამის მაგიერ ადგილობრივ მომქმედი დაწესებულება, რომელსაც ხალხისაგან არჩეულნი პირნი შეადგენენ, დაუპირდაპირდება სახელმწიფოს ყველა ოლქაში არჩეულ პირთაგან შემდგარს სეიმს ანუ პარლამენტს. ორივენი, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე საერთო სახელმწიფო სეიმი ანუ პარლამენტი, სახელმწიფო საქმეების საწარმოებლად იმოქმედებენ და საკითხი მხოლოდ მათის მოღვაწეობის განსაზღვრა-ღა იქნება. **გ. რ.**

კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს სხდომა

(დასასრული *)

ნამესტნიკის თანაშემწემ სულთან-კრიმ-გირეიმ განაცხადა, ამ ჟამად განზრახულია, შემოღებულ იქმნას კავკასიაში ერთ-ერთი უკვე არსებული ტიპის ერობა, და მეცადინეობა იქნება საკითხის გართულება სხვა და სხვა მხრივ მოსაზრებით. ერობა—საკუთრივ დაწესებულებაა და საერთო საქმეების გამგებლობაში მხოლოდ იმას შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა, ვინც გადასახადს იხდის; გარეშე პირს-კი, რომელიც გადასახადს არ იხდის და ამიტომ დაინტერესებული არ არის საქმით, არავითარი პირდაპირი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს ერობასთან. გაფართოვება ერობის უფლებისა—მომავლის ინტერესის საქმეა და შეკავშირებულია იმ დებულებასთან, რომელიც სრულიად რუსეთის იმპერიისთვის მზადდება, ეხლა-კი კავკასიას ჩვენ ის უნდა მივცეთ, რაც იმის ძალღონეს შეეფერება და რასაც იგი საჭიროებს.

კანცელარიის დირექტორი პეტერსონი უერთდება სულთან-კრიმ-გირეის აზრს, რომ ერობა სამეურნეო დაწესებულებაა. რაც შეეხება შენიშვნას იმის შესახებ, რომ მუშათა წარმომადგენლებსაც უნდა ჰქონდეთ ადგილი ერობაში, პეტერსონის აზრით, მუშები მიწერილი არიან სოფლის საზოგადოებებზე და არჩევნებში იმათაც შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა.

იუსტიციის საბჭოს ხმოსანმა ბ. ნ. ზახაროვმა განაცხადა, ნამესტნიკის კანცელარიის მოხსენებაში გადაწყვეტილი არ არის, რომელი საერობო დებულება უფრო მოსახერხებელია კავკასიისთვის და ამიტომ საგანი განზრახულ საბჭოებისა რამდენადმე გამოურკვეველია. იმ ქვეყნებშიაც-კი, სადაც ხალხი პარლამენტს მონაწილეობას იღებს კანონმდებლობაში, იქაც-კი ხალხი პროექტებს არ ადგენს, ის მხოლოდ არ მოიწონებს, ან დაიწუნებს ან დროად შეასწორებს ხოლმე შედგენილს პროექტს. ზახაროვის აზრით, სამაზრო და საგუბერნიო საბჭოების განსახილველადაც უკვე შემუშავებული დებულება უნდა წარედგინოთ. არჩევნების შესახებ ზახაროვი ეთანხმება ა. ი. სააკოვის აზრს და ფიქრობს, რომ, თუ მუშათა წარმომადგენლები არ იქმნენ მოწვეულნი თათბირზე, სწორედ ამის გამო გაძლიერდება წინააღმდეგობა მცხოვრებლების იმ მეორე ნაწილისა, რომლის შესახებაც მოიხსენია თავმჯდომარემ. ამბობენ, მუშები გადასახადს არ იხდიანო, მაგრამ ეს მართალი არ არის, რადგან გადასახადები ბოლოს და ბოლოს მაინც უთუოდ ყველა მცხოვრებლებზე გადიტანება ხოლმე. არჩევნების წესიერად მოსაწყობად, ზახაროვის აზრით, ამ საქმის ხელმძღვანელობა უნდა მიენდოს მომრიგებელ-შუამავლებს და არა პოლიციას; მომრიგებელ-შუამავლებს საჭირო დახმარებას ქალაქის წარმომადგენლებიც გაუწევენო. ამ უკანასკნელ საგნის შესახებ სულთან-კრიმ-გირეიმ სთქვა, მეც მაგ აზრისა ვარო.

თავადი გ. მ. თუმანოვი ამბობს, სამაზრო და საგუბერნიო საბჭოებს საკმაო დრო ექმნებათ მუშაობის დასამთავრებლად. მით უმეტეს, რომ ისინი ახალს პროექტს კი არ შეადგენენ, უკვე არსებულს 1864 და 1890 წ. წ. დებულებას განიხილავენ; მაგრამ რადგან ადგილობრივ, გუბერნიასა და ოლქებში, მცხოვრებლები საკმაოდ გაცნობილი არ არიან საერობო დებულებებს, კარგი იქმნებოდა ტფილისიდან მცოდნე პირები, კომისარები გაიგზავნებოდნენ, რომელნიც განზრახულ რეფორმის შინაარს აუხსნიან ხალხსაო. გ. მ. თუმანოვის აზრით, რიცხვი საგუბერნიო საბჭოების წარმომადგენლებისა ნამესტნიკის საბჭოში, სახელდობრ ორ-ორი გუბერნიებიდან და ოლქებიდან და თითო ზაქათალისა და სოხუმის ოლქიდან, სულ 20—საკმარისი არ არის; რადგან კავკასიის სხვა და სხვა ნაწილები დიდს სხვა და სხვაობას წარმოადგენენ ეთნოგრაფიულად, იურიდიულად და სხვა მხრივ, სასურველია თითოეულს მაზრას და ოლქზე თითო წარმომადგენელი მაინც მოდიოდეს, მაშინ საერთო რიცხვი წარმომადგენლებისა 57 იქმნება.

ქუთაისის გუბერნატორის ვ. ა. სტაროსელსკის აზრით, შეუძლებელია მხოლოდ კავკასიისათვის შემოღებულ იქნას საერობო მმართველობის პრინციპი და აქ არჩევნები საყოველთაო ხმის უფლებით მოხდეს. მაგრამ, რადგან საერობო რეფორმა ყველას შეეხება, ამიტომ სასურველია განზრახულ საბჭოებში წარმომადგენლები მცხოვრებლების იმ ნაწილებისაგანაც იყვნენ, რომელიც ცენზის პირობას არ აკმაყოფილებს. ვ. ა. სტაროსელსკი შენიშნავს, რომ განზრახულ საბჭოებში ზოგან მიწის პატრონებს ეყოლებათ მეტი წარმომადგენელი, მაგალითად, ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში, ზოგან-კი სოფლის საზოგადოებებს. ამ უთანასწორობის მიზეზი ის არის, რომ რიცხვი წარმომადგენლებისა ნაანგარიშევია მიწის ზომის მიხედვით და არა მიწის ფასის მიხედვით. ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში სოფლის საზოგადოებათა წევრების მეტი წილი მამული შეადგენს ვენახს და სახნავს, და საერთოდ იმათ უფრო მეტის ღირებულების ქონება აქვთ, ვიდრე კერძო მესაკუთრეებს, ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს, ამ გუბერნიებში სოფლის საზოგადოებებს უფრო მეტი წარმომადგენელი ჰყავდეთ, ვიდრე კერძო მემამულეებს, მოხსენებით-კი სწორედ ამის წინააღმდეგ არის განაწილებული წარმომადგენლები. სტაროსელსკის აზრით, ამ უთანასწორობის მოსასპობად საჭიროა: 1) გამრავლდეს ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენლები და 2) საბჭოების ორგანიზაცია ყველგან ერთსა და იმავე პრინციპზე მოეწყოს.

გენერალ მაიორმა ე. ნ. შირინკინმა შენიშნა, რომ სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენლების რიცხვის გამრავლება სასურველი არ არის, რადგან ამათ კერძო მემამულეთა წარმომადგენლობა შემცირდება; გარდა ამისა აღნიშნა, რომ ერობებსა და საბჭოებში ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში თავადაზნაურთა მარშლების თავმჯდომარეობა ეთანხმება 1864 წლის დებულებასაო.

ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეიმ განაცხადა, რომ სურვილი იმ პირებისა, რომელთაც საჭიროდ სცნეს ხალხის გაცნობა 1864 წ. საერობო დებულებასთან, შესრულებულ იქნებაო; 1864 წ. დებულება მალე დაიბეჭდება და დაიგზავნება რუსულს, ქართულს, სომხურს და თათრულს ენაზეო; თარჯიმნის შესახებ მზრუნველობა იკისრეს ქართულად თავ. ვ. ს. მიქელაძემ, სომხურად ა. ა. ქალანტარმა და თათრულად ადაევმაო.

თავმჯდომარემ, გამოუცხადა რა მადლობა ბ. ბ. მიქელაძეს, ქალანტარს და ადაევს იმ შრომისთვის, რომელიც მათ იკისრეს, აგრეთვე იმათ ვინც კრებაზე მოვიდნენ სხდომა დახურა.

ახალი ამბავი

◆ სართიჭალის ბოქაულმა აცნობა ტფილისის მაზრის უფროსს, რომ ივრის ხეობის სასოფლო საზოგადოებებმა ხალხის მოძრაობის დაწყების დღიდან დაითხოვეს მამასახლისები, სოფლის მწერლები, სოფლის სხვა მოხელენი და დახურეს სოფლის კანცელარიები. ამით ხალხმა ყოველივე კავშირი შესწყვიტა მთავრობის დაწესებულებებთან. მაისის ბოლო რიცხვებში,—სწერს შემდეგ ბოქაული,—ყაზახ-რუსებით ვიყავი პატარძეულის საზოგადოებაში და როცა ხალხს წინადადება მივეცი, მთავრობის დაწესებულებასთან დამოკიდებულება განაახლეთ მეთქი, მათ თანხმობა განაცხადეს და მამასახლისი აირჩიეს. რაც შეეხება ნინოწმინდისა, საგარეჯოსა, გიორგი წმინდისა და მანავის სოფლის საზოგადოებათ, ისინი დღევანდლამდე განკერძოვებულნი არიან: იქ არც მამასახლისებია და არც სხვა სოფ-

ფელეტონი

ცენტრალიზმი და ადგილობრივი თვითმმართველობა

იმ სახელმწიფოში, სადაც ხალხი ან პარლამენტი თვითონ არის კანონმდებელი ან მონაწილეობას იღებს კანონების შედგენასა და გამოცემაში, ერთი მეორისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება საკონსტიტუციო და ჩვეულებრივი კანონები. საკონსტიტუციო კანონები შეიცავენ დადგენილებას სახელმწიფოს წესწყობილების შესახებ, განმარტავენ მთავრობისა და ხალხის ურთიერთობას, მათს უფლებებს და მოვალეობას; ჩვეულებრივი კანონები განსაზღვრავენ სხვა და სხვა კერძო და საზოგადო ინტერესებს, მაგრამ ისე-კი, რომ არაფერში არ ეწინააღმდეგებოდნენ საკონსტიტუციო კანონებს.

საკონსტიტუციო კანონები დასავლეთ ევროპაში პირველად მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში დაიწერა, როდესაც ფრანგებმა თავგანწირული და მედგარი ბრძოლა აუტეხეს სამეფო ბიუროკრატიულს სახელმწიფოს. ამ დროს როგორც საფრანგეთში, ისე სხვა ქვეყნებში, გარდა ინგლისისა, უკანასკნელი უფლების წყაროდ მეფე ითვლებოდა; ადამიანს თავისთავად არავითარი უფლება არა ჰქონდა: საფრანგეთის მეფე ლუდოვიკ მეთოთხმეტე ამბობდა „სახელმწიფო—ეს მე გახლავართ". ერთს იმ დროინდელს საპოლიტიკო თხზულებაში ეწერა: „საფრანგეთში ერი განსაკუთრებითს სხეულს არ შეადგენს, რადგან ის მთლად მეფის პიროვნებაშია მოქცეულიო". ამგვარს სახელმწიფოს, რომელიც უფლებებისა და კანონების ერთად ერთ წყაროდ მეფეს აღიარებს, ეწოდება აბსოლუტური სახელმწიფო, და ამ სახელმწიფოს წესწყობილებას—აბსოლუტიზმი. საფრანგეთმა პირველმა დაჰგმო ევროპაში გამეფებული აბსოლუტიზმი და შეიმუშავა ადამიანისა და სახელმწიფოს დაპირისპირება.

აბსოლუტიზმის მოძღვრების წინააღმდეგ წამოაყენა ხალხმა თავისი მოძღვრება, რომლითაც ადამიანს თავის თავად, მეფისაგან გამოცემულ ბრძანებების ან კანონის დამოუკიდებლივ უფლებათა პატრონად აღიარებდა. ხალხის თვალში ასეთი უფლება იყო, მაგალითად, თავისუფლება სიტყვის, წერის, ერთობისა და სხვ.; ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა თანასწორობას კანონის წინაშე. ხალხის თვალში ეს უფლებები ყველა მოქალაქეს ეკუთვნოდა და ამიტომ გამოცხადებული იყო, როგორც უფლებანი ადამიანისა და მოქალაქისა. ამ აქტს ისტორიაში უწოდებენ ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას.

საფრანგეთიდან ადამიანის უფლებათა დეკლარაცია მეცხრამეტე საუკუნეში ევროპის სხვა ქვეყნებშიაც გადავიდა, მაგრამ იმას არსად ისეთი დიდმნიშვნელოვანი ახალი მუხლი არ მიმატებია, როგორც ავსტრიაში. ავსტრიის 1867 წლის საკონსტიტუციო კანონი მოქალაქეთა საერთო უფლებების შესახებ, სხვათა შორის, ამბობს: „სახელმწიფოში ყველა მოდგმის ერს თანასწორი უფლება აქვს და თითოეულს ერს შეურყეველი უფლება აქვს, დაიცვას და განავითაროს თავისი ეროვნება და ენა.

„სახელმწიფო აღიარებს, რომ ყველა ადგილობრივს ენას თანასწორი უფლება აქვს სკოლას, დაწესებულებსა და საზოგადო ცხოვრებაში.

„იმ ადგილებში, სადაც რამდენიმე ერი მკვიდრობს, სახელმწიფო სასწავლებლები ისე უნდა იყვნენ მოწყობილი, რომ არც ერთი ეროვნება იძულებული არ იყოს მეორე ადგილობრივ ენა შეისწავლოს და ყველას სახსარი ჰქონდეს მიიღოს განათლება საკუთარს ენაზე".

ამ დებულებით ავსტრიის კონსტიტუციამ ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში შეიტანა სრულიად ახალი აზრი ეროვნებათა თანასწორობისა, როგორც ისეთი პრინციპი, რომელიც სახელმწიფომ უნდა დაიცვას და დაიფაროს.

დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ამ პრინციპის მიღებას ავსტრიის კონსტიტუციაში შემთხვევითი ან უცაბედი ხასიათი ჰქონდეს. პირიქით, ეს აუცილებელი იყო და სწორედ ავსტრიისთვის. ევროპაში არც ერთი სახელმწიფო არ არის ისეთის მრავალის ერისაგან შემდგარი, როგორც ავსტრია, არსად ეროვნული საკითხი არ არის ისე გამწვავებული და დახლართული, როგორც აქ. ყველა სხვა სახელმწიფო ან მთლად ერთის რომელისამე ერისაგან შესდგება, ან აქ ერთის რომელისამე ერის რიცხვი გაცილებით აღემატება ყველა სხვა ერების რიცხვს, ავსტრია-უნგრეთში-კი არც ერთი ერი არ შეადგენს მცხოვრებთა უმრავლესობას. გერმანელები უმთავრესად დასახლებული არიან ზემო დუნაის ხეობაში და სხვაგან მხოლოდ ქალაქებში ბინადრობენ, მცხოვრებთა საერთო რიცხვის ერთს მესამედს ძლივს შეადგენენ და, თუმცა 1867 წ. იმათ იყვნენ გაბატონებულნი ავსტრიაში, მაგრამ სხვა ერებიც უკვე ეროვნული აღორძინების გზაზე იდგნენ და ეროვნული საკითხი უკვე ერთი ფრიად რთული და მძიმე საკითხთაგანი იყო. ავსტრიაში 1890 წელს ითვლებოდა 24 მილიონი მცხოვრები, რომელთაგან გერმანელები მხოლოდ რვა მილიონს შეადგენდნენ და, თუმცა სხვა ერები, ჩეხები, პოლონელები, რუსინები, სლოვენცები და სხვები უფრო მცირე რიცხვოვანნი იყვნენ, მაგრამ გერმანელები მაინც უმრავლესობას არ წარმოადგენდნენ.

სწორედ ამის გამო, რომ ავსტრიაში არც ერთი ეროვნება ისე ძლიერი არ იყო, რომ სხვა ერების თავისებურება მოესპო, და არც ისე უძლური, რომ ეროვნული მისწრაფებანი არა ჰქონოდა, გამოირკვა, რომ სახელმწიფოს სხვა და სხვა ეროვნებათა მოთხოვნილება ერთმანეთისთვის უნდა შეეთანხმებინა და მათ შორის თანასწორობის პრინციპი დაეცვა. აი, ამ მდგომარეობის ნაყოფია ის მუხლი კონსტიტუციისა, რომელიც ჩვენ ზემოდ მოვიყვანეთ.

პირადი თავისუფლება ადამიანისა და ყველა მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე სრულიად საკმარისი არ არის ეროვნულ მისწრაფების დასაკმაყოფილებლად: ვიდრე სახელმწიფოში ერთი რომელიმე ენაა გაბატონებული, ვიდრე სახელმწიფოში ერთი რომელისამე მოდგმის ხალხი ბატონობს, სხვა ერები აუცილებლად იჩაგრებიან. ავსტრიის პოლიტიკური დანიშნულება დასაბამიდანვე ისეთი იყო, რომ იმას რაიმე საშუალებით უნდა განეხორციელებინა თავის საზღვრებში ერების თანასწორობა და 1867 წელს შეუდგა იგი ამ დანიშნულების აღსრულებას, შეიტანა კონსტიტუციაში სათანადო მუხლი, მაგრამ ისტორიამ დაამტკიცა, რომ ამ გზით ეროვნულ თანასწორობის განხორციელება შეუძლებელია.

ეროვნული თავისუფლება რომ ერთ-ერთი გამოხატულობა იყოს ადამიანის პირადის თავისუფლებისა, როგორც ზოგს ჰგონია, უეჭველია, საკმარისი იქნებოდა საკონსტიტუციო კანონით ეროვნულ თანასწორობის აღიარება და ეროვნულის დევნის მოსპობა—ამ მძიმე საკითხის გადასაწყვეტად, მაგრამ ეს ასე არ არის. როგორც ღარიბისა და მდიდარს ვერ ათანასწორებს ის პრინციპი, რომელიც ყველა ადამიანს თანასწორ უფლების პატრონად აღიარებს, ისე სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს ვერ აძლევს ერთსა და იმავე პირობებს ავსტრიის კონსტიტუციაში გამოცხადებული პრინციპი.

ვიდრე სახელმწიფოს წესწყობილება იმ პრინციპზეა აშენებული, რომლის ძალითაც მართვა-გამგეობის დასაბამად ცენტრი ითვლება, უთუოდ შეუძლებელი ერთისა და იმავე სახელმწიფოს სხვა და სხვა ნაწილები თანხმობით არა ჰმოქმედებდნენ; ეს თანხმობა ადგილობრივ დაწესებულებათა მოქმედებისა-კი რეალურად იმას მოასწავებს, რომ ყველგან მთელს სახელმწიფოში ერთი და იგივე კანონები იმოქმედებენ, ერთსა და იმავე ენაზე აწარმოებენ საქმეებს, ე. ი. უგულებელყოფენ ადგილობრივ ეროვნულ ინტერესებს და ადგილობრივი ენაც მხოლოდ დევნილი და შევიწროებული იქნება.

აბსოლუტურ სახელმწიფოს მოძღვრებით, მეფე წარმოადგენს იმ ცენტრს, რომლიდანაც მომდინარეობს ყოველივე უფლება; ამიტომ, ამგვარად, აბსოლუტურ სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მისწრაფება, სახელმწიფოს სხვა და სხვა ნაწილების თავისებურობა მოსპოს და ერთგვაროვან ქვეყნად აქციოს მთელი ტერიტორიის მცხოვრებლები. აბსოლუტიზმი უკიდურესი ცენტრალიზმის მიმდევარია. ხალხის მოძრაობამ ევროპაში აბსოლუტიზმი ყველგან დაამხო და დაანგრია, მაგრამ ცენტრალიზმი-კი დღევანდლამდე სახელმწიფოს არსებობის აუცილებელ პირობად ითვლება. ავსტრიის კონსტიტუცია 1867 წლისა არ უარჰყოფს ცენტრალიზმის პრინციპს, პირიქით, ის ყველგან ამ პრინციპს აღიარებს, მაგრამ ამასთანავე ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროდ სცნობს ადგილობრივ ენებისა და სხვა და სხვა მოდგმის ხალხთა გათანასწორებას. ამ გვარად ავსტრიის კონსტიტუციაში ერთსა და იმავე დროს ვხვდებით ორს, ერთი მეორის მოწინააღმდეგე, პრინციპს-ცენტრალიზმს და დეცენტრალიზმს. აი სწორედ ეს გარემოება შეიქნა იმის მიზეზად, რომ წინააღმდეგ კონსტიტუციის პარაგრაფის დადგენილებისა ავსტრიის იმპერიაში ერების თანასწორობა ვერ განხორციელდა და მხოლოდ წინ იქმნა წამოყენებული ის სა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2868.

ლის მოხელე, რის გამო არ შეიძლიან ჩემი თანამდებობა აღვასრულოო. ბოქაული სთხოვს მაზრის უფროსს, განკარგულება მოახდინოს ამ საქმის გამო. მაზრის უფროსმა ეს ამბავი მომრიგებელ შუამავალს აცნობა და სთხოვა, შეუდგეს აღნიშნულ სოფლებში მამასახლისების არჩევას და ძველ წესწყობილების აღდგენას.

◆ როგორც გავიგეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების მასწავლებელნი შეთანხმებულან და შეუდგენიათ განსაკუთრებული კომისია, რომელიც შეიმუშავებს **სასწავლო გეგმას სკოლებისათვის.** ამ გეგმას კომისია მასწავლებელთა საერთო კრებას წარუდგენს განსახილველად.

◆ **თავ. ლენტო ხერხეულიძის დაჭრისთვის,** როგორც „ნ. ო." გადმოგვცემს, კოვალევის მხლებელის ინგუშის გარდა, სამართალში მიუციათ პოლიციელი გონჩაროვი, რომელიც დაჭრის დროს იქ ყოფილა და არავითარი ზომა არ მიუღია.

◆ როგორც ლეჩხუმის მაზრიდან გვატყობინებენ, **თავ. შამშე გელოვანის მკვლელობის გამოძიებას** მხოლოდ ახლახან შესდგომიან, როდესაც ქუთაისის ოლქის სასამართლომ ამის შესახებ ცნობები მოითხოვა.

◆ როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, 22 ივლისს, ღამის 12 საათზედ, ვიღაცები **დასცემიან სადგურიდან სახლში მიმავალ სამ ჟანდარმს.** უცნობებს თხუთმეტჯერ უსროლიათ რევოლვერები, მაგრამ მხოლოდ ერთს ჟანდარმს, ნიკოლოზ ზვანოვს, მოხვედრია ტყვია. ვერც ერთი მსროლელი ვერ დაიჭირეს.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, საქართველოს ზოგიერთ ადგილებში **მემამულენი და გლეხები შეთანხმდნენ** ღალის შესახებ. ამბობენ, კავკასიის მთავრობას აზრადა აქვს, იქ, სადაც შეთანხმება ვერ მოხდა, დააწესოს მოსავლის მეოთხედის გადახდა მემამულეთა სასარგებლოდაო.

◆ ადგილობრივ გაზეთებში სწერდნენ, რომ ტფილისში **ჩამოვიდა იაპონელი,** რომელიც „ვეტცელის" სასტუმროში ჩამოხტაო. იაპონელმა რამდენიმე დღე დაჰყო ტფილისში. პოლიციამ პასპორტი გაუსინჯა და აღმოჩნდა, რომ იაპონელი ერთი სავაჭრო ფირმის დირექტორი ყოფილა. იაპონელი საქართველოს სამხედრო გზით კავკავს გაემგზავრა.

◆ **ქუთაისის ახლად დანიშნული გუბერნატორი** ვ. ა. სტაროსელსკი დღეს საღამოს გაემგზავრება ქუთაისის გუბერნიის სოფ. საქარას.

◆ კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, კავკასიის **საბეითალო ნაწილის უფროსმა გუბერნატორებს მიატყობინა:** ტფილისისა და განჯის გუბერნიის ბეითლებმა საზოგადო თათბირზე გადასწყვიტეს, რომ არსებულ გზებს გარდა შინაური საქონლის გადაყვანა-გადმოყვანა შეიძლებოდეს შემდეგ ადგილებში: 1. ახალ ქალაქიდან მანგლისის გზით ტფილისში, 2. ახალ ქალაქიდან ბაკურიანის გზით ბორჯომში; 3. ოროჩალოდან გორის მაზრაში არჯევან სარვანის გზით და ადენის ხევით ქ. გორამდე; 4. ნუხიდან სოფელ კახსა, ზაქათალასა, ლაგოდეხსა, სიღნაღსა და ტფილისში; 5. ნუხიდან დედოფლის წყაროს გზით ტფილისამდე და 6. ბაქოდან ევლახის ხიდით ქიურდამირამდე. ბეითალთა ეს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინა კავკასიის ნამესტნიკს, რომელმაც დამავალა ვაცნობო გუბერნატორებს ჯეროვანის განკარგულების მოსახდენად და აღსასრულებლადაო.

◆ **ტფილისის პირველ გიმნაზიის დირექტორად** დაინიშნა ბაქოს გიმნაზიის დირექტორი კოტილევსკი.

◆ ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა მოსკოვის ინჟინერ ტექნიკოსების რუბენსონისა და სარქისიანცის განცხადება. ინჟინრები სწერენ, ქალაქის საუბნოს გეგმის შესადგენად მოცემული 1500 მან. არა გვყოფნის და კიდევ მოგვეცეს ფულიო. გამოირკვა, რომ გამგეობას სრულიადაც არ შეუკვეთია აღნიშნულ ინჟინრებისათვის სასყიდლის მიცემა. გამგეობამ დაადგინა, გადახდეს 1500 მან. გამგეობის იმ წევრს, რომელმაც განკარგულება მოახდინა, თავის ნებით ინჟინრებს დაავალა გეგმის გაკეთება და 1500 მან. მისცაო. სწორედ უცნაური ამბავი თუ გნებავთ, ეს არის!

◆ წელს ქალაქის გამგეობამ მუშები დააყენა მტკვრის მარჯვენა ტოტის გასასუფთავებლად, რისთვისაც არხი გაათხრევინა თითქმის ნახევარ ვერსის მანძილზე. ამ ტოტის გასაწმენდად ქალაქმა 5000 მან. დახარჯა, მაგრამ ხუთი გროშისა არა გაკეთებულა-რა. გამოზაფხულზე წყალ-დიდობამ არხი ამოავსო და ამჟამად, როგორც წინად, წყალი ტბად სდგას და ყოველი სიბინძურე თავს იყრის.

◆ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ამ ერთი წლის წინად ქართლში გლეხმა ქარუმა ბოსიკაშვილმა მოჰკლა ორი პატარა ქალი 6 და 9 წლისა. ბოსიკაშვილი სულით საავადმყოფოში მოათავსეს გამოსაცდელად და აღმოჩნდა, რომ იგი სრულიად გონება საღია. ამის გამო იგი, როგორც ბრალდებული, პასუხის გებაში მისცეს. ბოსიკაშვილის საქმეს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია განიხილავს გორში 25 ივლისს.

◆ ის ხმა, ვითომ სასინოდო კანტორის მდივანი ხიტაძე სამსახურს თავს ანებებდეს და იმის ადგილას დავითაშვილს ჰნიშნავდნენ, სიმართლეს მოკლებულია. როგორც ნამდვილად გავიგეთ, ხიტაძე სრულებითაც არ აპირობს სამსახურიდგან გასვლას.

◆ 21 ივლისს „ანონნას" სასტუმროში ქუთაისის ახლად დანიშნულ გუბერნატორს ვ. ა. სტაროსელსკის ამხანაგებმა გაუმართეს სადილი, რომელმაც გასტანა საღამოს 9 საათამდე. სადილზე, სხვათა შორის, იყვნენ—მიწათმოქმედების რწმუნებულის თანაშემწე ფ. ა. მიმახოვსკი, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველი და სხვანი.

რუსეთის ქრონიკა

შეტაკება მუშებსა და ყაზახებს შორის. „პერ. გაზ."-ში დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა მოტოვილიხაში 10 ივლისს მომხდარ ამბების შესახებ. ამ დღეს შეტაკება მოსვლია მუშებსა და ყაზახებს. როგორც ოფიციალურ ცნობაშია ნათქვამი, მუშებს ასჯერ უსროლიათ, მაგრამ ვერც ერთი ტყვია ვერ მოურტყამთ. შემდეგ ყაზახებს დაუშენიათ თოფები და ერთი მოუკლავთ, მეორე დაუჭრიათ. „ირძილის ველზე" ბევრი პროკლამაცია, ქვა და რევოლვერი უპოვიათ. („რ. ს.").

სასჯელი იარაღის ტარებისათვის. პეტერბურგის გრადონაჩალნიკს უბრძანია დაუწესია იარაღის ტარებისათვის დაუწესია რამდენიმე გვარი. [illegible] ათის თუმნით, ანუ ორის თვის დაპატიმრებით; ტესლი—ოცის თუმნით, ან ნახევარის წლით დაპატიმრებით; [illegible] და [illegible]—ოცდაათ-ათის თუმნით, ან ორის თვით დაპატიმრებით და [illegible]—ათის თუმნით, ანუ ერთის თვით დაპატიმრებით. („მ. გ.").

რედაქტორი პოლიციის ბოქაულად. „უფის გუბ. ვედ." რედაქტორი გუბერნატორის ბოგდანოვიჩის ბრძანებით პოლიციის ბოქაულად დაუნიშნავთ. („ს. ო.").

ბიუროკრატია და ჩექმები. მოსკოვიდან „რუს".ს შემდეგ ახირებულ ამბავს სწერენ: კორჩევის გამგეობისთვის მთავარ საინტენდანტოს მანჯურიის ჯარში გასაგზავნად ჩექმები შეუკვეთნია, ნიმუშად ერთი წყვილი ჩექმა გაუგზავნია და შეუთვლია, სწორედ ასეთი ჩექმები შეაკერინეთო. კორჩევის გამგეობას ჩექმები მოსკოვის საოლქო საინტენდანტოსთვის უნდა ჩაებარებინა, ამიტომ ამ გამგეობას ხსენებულ საინტენდანტოში გაუგზავნია ზემოდ მოხსენებული წყვილი ჩექმა და შეუთვლია, ეს ჩექმები ჩვენ დავამზადებინეთ და მოიწონებთ თუ არაო. საოლქო საინტენდანტოს სამაგიეროდ დაუწუნია ეს ჩექმები და უკანვე დაუბრუნებია. ამ რიგად, რაც მთავარმა საინტენდანტომ მოიწონა და გაგზავნა, როგორც საიმუშო, ის საოლქომ უვარგისად სცნო. ასეთია ბიუროკრატია!

სამშობლო ენა ორმოცის წლის შემდეგ. მინსკიდან იუწყებიან, რომ იქაურ სცენაზე აგერ ორმოცი წელიწადია პოლონურ ენაზე წარმოდგენები აღარ გაუმართავთ, რადგან მთავრობა ამის ნებას არ აძლევდა. ამიტომ 16 ივლისის წარმოდგენამ სამშობლო ენაზე დიდძალი ხალხი მიიზიდა. ადგილების საზღვარი არა ჰქონდა თურმე. თეატრი სულ სავსე ყოფილა. („რ. ს.").

ქალთა ახალი უმაღლესი სასწავლებელი. ამ წლის შემოდგომიდან პეტერბურგში იხსნება ახალი უმაღლესი სასწავლებელი, „ქალთა სატექნიკო ინსტიტუტი". ამ ინსტიტუტში ორი ფაკულტეტი იქნება: საინჟინრო-სამშენებლო და საელექტრო-საქიმიო. პირველ კურსზე ორასზე მეტს მსმენელს არ მიიღებენ, და ეს ორასი მსმენელი ქალი კიდეც ჩაწერილა, ასე რომ ინსტიტუტში ან გასათვლების მოწმობისა და ან გამოცდის მიხედვით უნდა მიიღონ მსურველნი. გამოცდა მათემატიკასა, ფიზიკასა და რუსულ ენაში იქნება. მთელი კურსი ოთხის წლისა იქნება და სწავლის ფასი წელიწადში ათი თუმანია.

სამსახურის თავის დანებება. მოსკოვში ნაფიც-ვექილის თანაშემწეს ხესარს, თავისგან დამოუკიდებელ გარემოებისა გამო, სამსახურისთვის თავი დაუნებებია მოულოდნელად. საზოგადო გაფიცვის დროს იმას ათასამდე საჩივარი წარუდგენია მუშების მხრივ ფაბრიკა-ქარხნების წინააღმდეგ. ამბობენ, ეხლა აუკრძალავთ სრულიად საქმეების წარმოებაო. („რ.").

საერთო ბანკი. როგორც ხმებია, მოკლე ხანში სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკებს გააუქმებენ და იმათ ნაცვლად ერთ საზოგადო ბანკს გახსნიან. („რ.").

მუშათა თავდასხმა ხულიგანებზე. 17 ივლისს მოსკოვის ფაბრიკებისა და სტამბების მუშები წინათვე დადგენილის პირობით შეკრებილან [illegible] ბაღთან; აქ ორ ჯგუფად გაყოფილან და რამოტკინისა და სტრეტენკისაკენ წასულან იქ დაბანაკებულ ხულიგნებთა და ქურდების დასასჯელად. თითო ჯგუფში 150 კაცამდე ყოფილა. მუშებს შემოუვლიათ [illegible] და შავი დღე დაუყენებიათ იმათთვის, ვისთვისაც კი მოესწრათ. მუშათა ჯგუფს თანდათან მიემატებოდა ქუჩებში მიმავალი ხალხი. სულ ორმოცამდე ხულიგანი მიუტყეპიათ. სხვებს თავისთვის უშველიათ. ამათ შეჰკვდრია ერთი ასოთ-ამწყობი და მთელი თავიანთი ჯავრი იმაზე ამოუყრიათ: ერთ ხულიგანს დანით [illegible] მუცელი გაუფატრავს და სიცოცხლეს გამოუსალმებია. მკვლელი შეუპყრიათ და გამომდგარა ცნობილი ავაზაკი, რომელსაც დიდი ხანია თურმე პოლიცია სდევნიდა. („რ.").

შეტაკება ებრაელებსა და ქრისტიანებს შორის. 14 ივლისს ბელეცკის მაზრის დაბა რიშკანოვკაში მომხდარა ებრაელების თავდასხმა და იმათ სადგომ-სავაჭროების აკლება. ლაპარაკი მოსვლიათ ერთ ებრაელს და სალდათს. ამ უკანასკნელს მებაღეები და სხვა მუშები მიეშველნენ. დაჭრილი აღმოჩნდა 4 ებრაელი და 8 ქრისტიანი, მოკლულია 1 ქრისტიანი. („რ.").

არქიმანდრიტი ნიკანდრი და საქართველოს ეკლესია

საქართველოს საექზარხოსოს ოფიციალურ ორგანოში—„Духовный Вѣстникъ Груз. Экзархата"-ში მოთავსებულია წერილი ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორად ნამყოფის არქიმანდრიტის ნიკანდრის შესახებ. როგორც ვიცით, ამ ჟურნალის გამოწერა სავალდებულოა საექზარხოსოს მღვდლებისთვის. აი, ამ ჟურნალის უკანასკნელი ნომერი*) ქება-დიდებით იხსენიებს არქიმანდრიტ ნიკანდრის მოღვაწეობას ტფილისსა და მთლად საქართველოში, იმ არქიმანდრიტისა, რომელსაც მღვდლები და რუსის პოპსაც 31 მაისის ინციდენტის მიზეზად სთვლიან. რედაქცია ოფიციალურ ორგანოსი სწერს, რომ არქიმანდრიტმა ნიკანდრმა თავის გულწრფელობით, შრომისა და სიმართლის მოყვარეობით დაიმსახურა მთელ ამიერ-კავკასიაში გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა... დიდი სამსახური მიუძღვის აგრეთვე იმით, რომ ტფ. სასულიერო სემინარიისთვის ააგო ვეებერთელა ახალი შენობა, რასაც 400,000 (ოთხასი ათასი) მანეთი მოახმარა. ასე გასინჯეთ, შენობების პლანებსაც-კი ადგენდა თვით არქიმანდრიტი ნიკანდრი, რომელსაც სწავლა სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში აქვს მიღებული.

ამ წერილის შემდეგ იმავე ნომერში მოთავსებულია თვით არქიმანდრიტ ნიკანდრის წერილი საქართველოს ძველ ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. წერილი მეტად დიდია, სამ გვერდს შეიცავს. ამ უზარმაზარ წერილის პირველ ნახევარში ავტორი ამტკიცებს, რომ საქართველოს ეკლესიას ძველად არავითარი ავტოკეფალური მართვა-გამგეობა არა ჰქონდაო, ამტკიცებს აგრეთვე იმასაც, რომ ეს ეკლესია მუდამ დაეცა, დაქვეითდა და გათახსირდაო.

სულ სხვაა მეორე ნახევარი წერილისა. ამ ნახევარში მოთავსებულია, როგორ „აყვავდა და აღორძინდა" საქართველოს ეკლესია მეცხრამეტე საუკუნეში, მას შემდეგ, რაც რუსის ექსარხოსების დანიშვნა დაიწყეს. ავტორის სიტყვით, ამ დროს განმტკიცდა ქრისტიანობა, აშენდა ეკლესიები და სხვა და სხვა. არქიმანდრიტ ნიკანდრს, ეჭვი არ არის, მეხსიერება ჰღალატობს. გვახსოვს, ამ რამდენსამე წლის წინად, ექსარხოსმა ვლადიმერმა, როდესაც ქართლ-კახეთის სამრევლოები მოიარა, გამოსცა მოწოდება მღვდლების მიმართ. ექსარხოსი სწერდა, ხალხს სულ აღარა აქვს ქრისტიანული გრძნობა, ეკლესიებში აღარ დადის, პირჯვარს აღარ იწერს და სხვაო. ექსარხოსი ურჩევდა მღვდლებს, ლოცვები დაასწავლეთ გლეხებსაო. აი, როგორ „განმტკიცებულა ქრისტიანობა" და „აყვავებულა და აღორძინებულა" ეკლესია! ალბად, ამავე „განმტკიცება-აყვავებას" ამტკიცებს ეპისკოპოსების და მღვდლების განდევნა, სამრევლო სკოლებზე ხელის აღება და სხვა. 31 მაისის ამბავი უთუოდ ასის წლის მოღვაწეობის დაგვირგვინება იქნება.

თავის წერილის ბოლოში არქიმანდრიტი ნიკანდრი იმასაც ამტკიცებს, რომ ქართულ ენას არასოდეს არა სდევნიდნენ საქართველოში. იქ, სადაც ექსარხოსად ნამყოფის ალექსის ქება-დიდებაა, ნიკანდრი ამბობს: „საეჭვო ქართული პატრიოტიზმი ბრალსა სდებს ექსარხოსს, რომ მან, რუსიფიკაციის აზრით, განდევნა ქართული ენა სკოლისა და ეკლესიიდან. ამასთან უმთავრესად სამეგრელოს სამრევლო საეკლესიო სკოლებზე უთითებენ". შემდეგ ავტორი ამტკიცებს, რომ ქართული და მეგრული ენა სულ სხვა არისო, და იმოწმებს... ფეოდორე ჟორდანიას 1902—1903 წლის ანგარიშს...

რაც შეეხება უკანასკნელ ექსარხოსის მოღვაწეობას, არქიმანდრიტ ნიკანდრის იგი ზეცამდის აჰყავს. ამასთან თავის სიტყვებისა და ექსარხოსის ნაყოფიერ მოღვაწეობის დასამტკიცებლად მოჰყავს ვიღაც მღვდლის ვასილ დუმბაძის სიტყვა, რომლითაც ეს გულმოდგინე მოძღვარი მიჰგებებია ექსარხოსს ოზურგეთში მისვლის დროს. ამ მღდელს თითქმის მთვარესა და ვარსკვლავებთან შეუდარებია ექსარხოსი და უთქვამს, რომ „თქვენი სახელი სამუდამოდ აღიბეჭდება საქართველოს ეკლესიის ისტორიის ფურცლებზეო".

ოლოხდაც...

---

*) 15 ივლისისა ამ ნომრის რედაქტორად ისევ ვოსტოკოვია მოხსენებული, თუმცა თვენახევარზე მეტია, რაც ვოსტოკოვი კავკასიიდან წავიდა.

ბრიტანიის მუზეუმი და ქართული ხელთნაწერები.

დიდიხნის სამზადისის შემდეგ შემთხვევა მომეცა ლონდონში წარმოსვლისა აქაურ ბრიტანიის მუზეუმში ქართულის ხელთნაწერების გადასათვალიერებლად. იმედი მთლად არ გამიცრუვდა, თუმცა გულახდილად უნდა აღვიაროს კაცმა, რომ ქართული ხელნაწერები ამ საქვეყნოდ განთქმულს მუზეუმში უფრო ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე მე მოველოდი.

სულ ხუთი ნომერია აღნიშნული კატალოგში აღმოსავლეთის ხელთნაწერთა შორის, რომელნიც ჩვენს საგანს შეეხება. მეტის ყურადღების ღირსია ერთ წიგნად შეკრული 369 დიდ ფურცლიანი კრებული წმ. მამათა ცხოვრება მე-XI—XII საუკ. დაწერილი უნდა იყოს ათონის მთაზედ და გადაწერილი ზარზმის მონასტერში. პირველს გვერდზე ინგლისურად აწერია: purchased ofzan armenian prist named Casanji of Alexandria 11 nov. 1837. Writfen in the anciens georgians character. ეს ხელნაწერი, შეძენილი სომხის მღვდლისაგან (ალექსან-

---

კახი, რომელიც ამ საგანს შეეხება.

ერების გათანასწორება ძნელად მაშინ შეიძლება განხორციელდეს, როდესაც სახელმწიფო დაანებებს თავს ცენტრალისმს და თითოეულს ადგილს და ხალხს, რომელსაც კი ისტორიულად ნაანდერძევი აქვს კულტურული თავისებურობა და ინდივიდუალურს ეთნიკურ ერთეულს წარმოადგენს, მინიჭებულ ექნება თვითმმართველობის უფლება. ფარგალი თვითმმართველობისა შეიძლება განიერიც იყოს და ვიწროც, იმისდა მიხედვით, თუ რამდენის ძლიერებით გამოიხატება თავისებურობა, მაგრამ ის მაინც აუცილებლად საჭიროა ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტად.

მეცხრამეტე საუკუნის ისტორია გვასწავლის, რომ მმართველობა ყველგან თან და თან უფრო ნათლად იღებს დემოკრატიულს ხასიათს. მმართველობის დემოკრატიზაცია არის დაახლოვება სახელმწიფოს უფლებისა ანუ ბრძანებლობისა ხალხთან; დაახლოვება ერთის მხრივ საარჩევნო უფლებათა გაფართოების საშუალებით შეიძლება სწარმოებდეს და მეორის მხრივ ბრძანებლობის ფუნქციების გადატანით ცენტრალურ დაწესებულებებიდან ადგილობრივ დაწესებულებებზე. პირველი გზა ევროპის დემოკრატიამ უკვე ყველგან ან თითქმის ყველგან გაიარა, მეორე გზა-კი ჯერ ისევ გასაკვლევია და გასავალი.

ეხლანდელს ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოს თითონ ხალხი პატრონობს, წინად-კი, ვიდრე აბსოლუტისმი ჰმეფობდა, ხალხს არავითარი პირდაპირი გავლენა არა ჰქონდა მართვა-გამგეობაზე. ხალხის გავლენის გასაძლიერებლად შემოიღეს საყოველთაო საარჩევნო უფლება, მაგრამ ვიდრე სახელმწიფოს სხვა და სხვა ნაწილები ერთი მეორისაგან კულტურულად თუ სხვა გვარად განსხვავდებიან, უთუოდ შეუძლებელია ხალხის გავლენა მართვა-გამგეობაზე ნამდვილად შეეფერებოდეს იმის იდეალებს, თუ უმეტესი საკითხი დიდის სახელმწიფოსი ცენტრალურს დაწესებულებებში იქნება გადაწყვეტილი და არა ადგილობრივს დაწესებულებებში. როგორც აბსოლუტისმის თვითმპყრობელობას თავის გავლენის მოსაპოვებლად და გასაფართოებლად ხალხმა წარმომადგენლობით მმართველობა დაუპირდაპირა, აგრეთვე საჭიროა იმავე გავლენის გასაძლიერებლად ცენტრალისმს დაუპირდაპიროს დეცენტრალისმი, საერთო სახელმწიფო დაწესებულებებს ადგილობრივი დაწესებულებები.

ეხლანდელს სახელმწიფოს ორ გვარი ფუნქციები აქვს: ბრძანებლობითი ანუ პოლიტიკური და წარმოებითი ანუ მეურნეობითი. სახელმწიფოთა ცხოვრების ისტორიულმა განვითარებამ შეუძლებლად გახადა იმდენად გაფართოვდეს ცენტრალურ დაწესებულებათა მოქმედება, რომ ის თითონ გაუძღვეს ყველა საქმეს, და ამიტომ შემოიღეს ადგილობრივი ოლქობრივი თვითმმართველობა; ოლქობრივს თვითმმართველობას ჩააბარეს ადგილობრივს საზოგადოებრივ მეურნეობის წარმოება. პრაქტიკულად პოლიტიკური და მეურნეობითი მოღვაწეობა ხშირად ისე ძლიერ უახლოვდება ერთმანეთს, რომ მათი ერთმანეთისაგან გარჩევა ადვილი საქმე არ არის; აი, ამ ნიადაგზე იბადება ბრძოლა ადგილობრივ თვითმმართველობასა და ცენტრალისტურ დაწესებულებებთან, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ ბრძოლას ის პრინციპიალური ხასიათი არა აქვს, რომელიც ცენტრალისმის პრინციპს უარჰყოფს და რომელიც სახელმწიფოს წეს-წყობილების გადაქმნას სცდილობს. სადაც ადგილობრივი თვითმმართველობა ეროვნებათა სხვადასხვაობას ჰხვდება, იქ ბრძოლა ცენტრალისმთან უფრო ნათელია და ხშირი, ვიდრე სხვაგან, მაგრამ ჯერ-ჯერობით ევროპის ცხოვრებაში ამ საგანს მაინც პრინციპიალური მნიშვნელობა არა აქვს.

ავსტრიის კონსტიტუციისაგან აღიარებული ეროვნებათა თანასწორობის პრინციპი განსახორციელებლად ადგილობრივს სათვითმმართველო დაწესებულებებს რომ ჰქონოდა გადაცემული, უეჭველია აქამდე ამ პრინციპს მთლიანად განახორციელებდნენ თუ ყველგან არა, ბევრგან მაინც, მაგალითად იმ ოლქებში, სადაც ჩეხები მცხოვრებლების 70 პროცენტს შეადგენენ. მაგრამ ცენტრალისმის პრინციპი ითხოვს, რომ ეს საგანი, როგორც პოლიტიკური საქმე, ავსტრიის ცენტრალისტურ პარლამენტის (რეიხსრატის) დადგენილებით განხორციელდეს, და ამ პარლამენტში კი სხვა და სხვა ეროვნულ პარტიების ბრძოლა ეღობება წინ საქმის დაბოლოვებას. იქ 1897 წლის შემდეგ, როდესაც სამინისტრომ გასცა ბრძანება ადგილობრივ ენების შემოღების შესახებ სკოლებსა, სასამართლოსა და საადმინისტრაციო დაწესებულებებში, განხეთქილებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ დღე-დღეზე ავსტრიის იმპერიის დარღვევას ელოდნენ. გერმანელები არაფრის გულისთვის არ თანხმდებოდნენ თავის ეროვნულ უპირატესობათა დათმობას, ჩეხები კი აუცილებლად აპირობდნენ თავის ქვეყანაში სამშობლო ენის შემოღებას, და ამ ორს ეროვნებათა შუა ატეხილი საპარლამენტო ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ მთავრობა რამდენჯერმე იძულებული იყო სრულიად დაეთხოვა პარლამენტი.

ეროვნულ თანასწორობის განსახორციელებლად სრულიად საკმარისი არ არის კონსტიტუციის ერთ-ერთს მუხლში აღიარება ამ თანასწორობისა პრინციპიალურად, აუცილებლად საჭიროა ნაჩვენები იყოს აგრეთვე რეალურად ამ პრინციპის განმახორციელებელი ორგანო და რეალურადვე უზრუნველყოფილ იყოს თითოეული ერი, რომ არავინ წინააღმდეგობას არ გაუწევს თავის ეროვნების დაცვისა და განვითარების საქმეში.

ერთად ერთი იურიდიული ფორმა, რომელიც ეროვნულ თანასწორობის განხორციელებას შესაძლოდ ჰხდის, არის ცენტრალისმის უარყოფა და თვითმმართველობის გაფართოვება. ავსტრო-უნგრეთის აღმოსავლეთი ნაწილი, მადიარების ქვეყანა, უნგრეთი, სწორედ იმიტომ არის ამ ნაირ უკეთეს მდგომარეობაში, რომ იმას თვითმმართველობა იმდენად სრულია, რომ ნამდვილს სახელმწიფოებრივს მმართველობას წარმოადგენს; უნგრეთი ფედერატიულად არის დაკავშირებული ავსტრიასთან 1867 წლიდან და ამ დროიდან დაწყებული ის თვალსაჩინო წარმატებაშია, როგორც პოლიტიკურად, აგრეთვე ეკონომიურად, ავსტრია კი თანდათან უფრო უკან მიდის, ვიდრე წინ.

საბოლოო იურიდიული ფორმა ეროვნულ თანასწორობის განსახორციელებლად არის ფედერაცია, რომელიც იგულისხმებს ორს ან რამდენსამე სახელმწიფოს და მათს დაკავშირებას საერთო საქმეების ერთად მოსაწყობად. მაგრამ ეროვნულ განვითარებისათვის, ვიდრე რომელიმე ხალხი საკმაოდ ძლიერი არ არის დამოუკიდებელ არსებობის მოსაპოვებლად, ჩვეულებრივ კმაყოფილდება ფართო ადგილობრივის ავტონომიურის თვით-მმართველობით. ავტონომიური თვით-მმართველობა ანიჭებს ადგილობრივს მცხოვრებლებს საკანონმდებლო უფლებასაც, მაგრამ ეს უფლება შედარებით ვიწროა და კანონით განსაზღვრულს ხაზს ვერ გადასცილდება, ასე რომ იგი პირველი საფეხურია ფედერალიზმისა. ავსტრო-უნგრეთში, ამ ხალხთა კონგლომერატის ქვეყანაში, არის ერთი ქვეყანა, რომელსაც ავტონომიური თვითმმართველობა აქვს 1864 წლიდან და რომელიც ეხლა ფედერალიზმისათვის ემზადება; ჩვენ მხედველობაში გვაქვს კროაცია-ხორვატია, რომელიც უნგრეთის ავტონომიურს ნაწილს შეადგენს. კროაციას და უნგრეთს საერთო კანონმდებლობა აქვს ჯარისა, ვაჭრობისა და ფინანსების საქმეებში, დანარჩენში კროაცია თითონ აწყობს თავის მმართველობას. კროაციას თავისი წარმომადგენლები ჰყავს უნგრეთის პარლამენტში, მაგრამ ისინი მხოლოდ მაშინ იღებენ მონაწილეობას პარლამენტის მუშაობაში, როდესაც განსახილველია საერთო საქმეები. ავსტრიაში 1867 წლიდან დაწყებული დღევანდლამდე პარტიების დანაწილება უმთავრესად ფედერალიზმის პრინციპის მიხედვით ჰხდება; ეს გარემოება სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ იმ სახელმწიფოში, რომელიც ეროვნულ თანასწორობის განხორციელებას ჰხდის თავის დანიშნულებად, ყველას უწინარეს სახელმწიფო მოღვაწეებმა ანგარიში ცენტრალისმის და დეცენტრალისმის ან ფედერალისმის პრინციპს უნდა გაუწიონ.

ფარგალი თვითმმართველობისა, რომელიც აუცილებელი საჭიროებაა როგორც მმართველობის დემოკრატიზაციისათვის, აგრეთვე ადგილობრივ და ეროვნულ ინტერესების დასაკმაყოფილებლად, სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა ზომისაა. ზოგგან იმის მიზანს მარტოოდენ გზების გაკეთება და საავადმყოფოების აშენება შეადგენს, ზოგგან კი სახელმწიფოს უფლების ყოველი სფერა, გარდა საგარეო პოლიტიკისა. ეროვნულ ინტერესების დასაკმაყოფილებლად აუცილებლად საჭიროა ისეთი თვითმმართველობა, რომელსაც სწავლა-განათლების საქმეში მაინც სრული კანონმდებლობითი უფლება ექნება, ე. ი. რამდენადმე მაინც ავტონომიური იქნება, და აი სწორედ ასეთს ავტონომიას ეძებენ დაჩაგრული, მაგრამ გამოფხიზლების გზაზე დამდგარი, პატარა ერები, როგორც ავსტრო-უნგრეთში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებში.

Z—Z.

დრიდან) 1837 წ. შეიცავს აღწერას მამათა ცხოვრებისას, რომელნიც სხვა კრებულებში არ შეგვხვედრია. დაწვრილებით ამ ამ საგანზე ვამზადებთ საჟურნალო წერილს.

მეორე ხელნაწერი (XI—XII საუკ., 221 ფურცელი) შეძენილი იმავე პირისაგან, შეიცავს, როგორც აღნიშნულია კატალოგში Euchologion Georgice. აქ მოქცეულია საგალობელნი ღვთისმშობლისანი, მთავარანგელოზისანი და სხვ. ხელნაწერს ბოლო აკლია. მესამე ხელნაწერი მიუძღვნია მუზეუმისთვის თომა სმიტს (Thomas Smith) და აღნიშნულია Liber precum iberice. მინაწერები ხელნაწერისა მე-XVII საუკუნისა. ერთი მათგანი ევედრება ღმერთს „ხახუნა შვიდობით მოიყვანეო". მეოთხე ხელნაწერი, იმავე თომა სმიტის მიერ მიძღვნილი, შეიცავს დავითნს.

მეხუთე ჩვენი დროის ხელნაწერს ჟურნალის (1889—1891) „მუშას", მუზეუმისთვის მიუძღვნია ვ. ჩერქეზიშვილს. სულ სამი წლის ნომრებია ერთად შეკრული. შინაარსით იგი გვაგონებს „კვალს" და ახლანდელს „მოგზაურს". მომატებული ნაწილი დაწერილია ლექსად. ენა სუსტია, აზრი დაბიური, საგნის განხილვა ზერეული.

გარდა ამ ხელნაწერებისა მისსიონერების ეკკლესიაში აღმოჩნდა ორი ქართულად ნაწერი წიგნი სახარება და დავითნი. დაბეჭდილი ჩვენი დროის წიგნები შეუწირავთ ბ-ნთ უორდროპს და ნ. ჟორდანიას. საერთოდ მუზეუმის ქართული განყოფილება მეტად ღარიბია. საჯაროდ გამოფენილს ნაწერ ნიმუშთა შორის ქართულს ვერ შეხვდებით. არაბული, სპარსული, სომხური, სირიული, კოპტური და სხვ. აღმოსავლეთის ენებზე ნახავთ მრავალს. აქ საერთოდ უფრო ნაკლებად გვიცნობენ, ვიდრე საფრანგეთსა და გერმანიაში. ჩვენებური კაცი იშვიათი სტუმარია ინგლისისა. ამით აიხსნება, რომ ინგლისი გულგრილად უყურებს ჩვენს ისტორიას, კულტურას და აწმყო მდგომარეობას. **ა. ხახანაშვილი.**

ლონდონი, 11 ივლისი.

ახალი სასწავლო გეგმა სახალხო სკოლისათვის.

როგორც ვწერდით, სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, ა. ბ. ჰეჰინაძის თავმჯდომარეობით, შეადგინა განსაკუთრებული კომისია და ამ კომისიას დაავალა სასწავლო გეგმის შემუშავება სახალხო ერთ კლასიან (ოთხის წლის კურსით) სკოლისათვის. კომისიაში მიიწვიეს სამი ქართველი მასწავლებელი, სამი მაჰმადიანი და სამი სომეხი. კომისიის სხდომას რაღაც მიზეზისა გამო არ დაესწრო ქუთაისის გუბერნიიდან დაბარებული ორი მასწავლებელი. ამის გამო კომისიაში მონაწილეობა მიიღო ერთმა ქართველმა, 4 მაჰმადიანმა, 5 სომეხმა და 1 რუსმა.

კომისიის სხდომები დაიწყო 18 ივლისს და დასრულდა 22 ივლისს. ზოგიერთმა მასწავლებელმა პირველადვე განაცხადა, ეს საქმე იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ საჭიროა მოწვეულ იქმნენ უფრო გამოცდილი მასწავლებელნი და დაესწრნენ გაზეთების თანამშრომელნიო.

კომისიამ პირველად გაიცნო 1881 წელს კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა. ამ გეგმით ნება დართული იყო სკოლებში პირველ ორ წელს სამშობლო ენის დახმარებით ესწავლებინათ სხვა საგნები, ხოლო მესამე წლიდან კი რუსული ენა უნდა შემოეღოთ. ამ გეგმის გაცნობის შემდეგ კომისიამ მსჯელობა იქონია ახალს სასწავლო გეგმაზე. კომისიამ გამოსთქვა: 1. საუკეთესო პედაგოგების აზრით, მხოლოდ ის სკოლაა ნაყოფიერი და ხალხის საჭიროება-მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი, სადაც სწავლება მშობლიურს ენაზეა დაყენებული; 2. ხალხი მხოლოდ იმ სკოლას ეპყრობა მეტის პატივით, სადაც დედაენაზედ ბავშვები ცოცხლად ითვისებენ ცოდნას ყველა საგნისას და 3. კავკასიის ყოფილმა ნამესტნიკმა დიდმა მთავარმა 1881 წელს დამტკიცებულ გეგმით არამც თუ უარჰყო სამშობლო ენა, პირიქით, საპატიო ადგილი დაუთმო. ამის გამო კომისიამ აუცილებელ საჭიროებად სცნო, რომ პირველ დაწყებით ერთ-კლასიან სკოლებში ოთხის წლის განმავლობაში სწავლა დედაენაზედ სწარმოებდეს. სახელმწიფო ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც საგანი. ამ სკოლებში უნდა ისწავლონ: სამღვთო სჯული, დედაენა, არითმეთიკა და რუსული ენა. გარდა ამისა საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს: სამშობლო ისტორიას და გეოგრაფიას. მასწავლებელმა ბავშვებს უნდა მიაწოდოს აგრეთვე მოკლე ცნობები ბუნების მეტყველებიდან. იქ, სადაც გარემოება ხელს შეუწყობს, სახალხო მასწავლებელმა პრაქტიკულად უნდა შეასწავლოს ბავშვებს ელემენტარული ცოდნა მეურნეობიდან და მიაწოდოს მოკლე ცნობები რუსეთის ისტორიისა და გეოგრაფიიდან.

კომისიის აზრით, ყოველს სახალხო სკოლასთან უნდა მოეწყოს ბიბლიოთეკა.

გამოითქვა ის აზრი, რომ ბევრგან შეუძლებლობის ან სხვა მიზეზით მშობლებს არ შეუძლიანთ შვილი ოთხის წლით მისცენ სკოლაში. კომისიამ საჭიროდ სცნო ასეთ სოფლებში დაარსდეს სახალხო სკოლა ორის წლის კურსით. კომისიამ ამასთან შეიმუშავა 2 წლის კურსიან სკოლისათვის სასწავლო გეგმა.

გუშინ, 22 ივლისს, კომისიას უკანასკნელად ჰქონდა სხდომა. მთელი ოთხი დღის ნამუშავარი ერთს ოქმში შეიტანა, შეასწორა რედაქცია ოქმისა და დაავალა თავმჯდომარეს, წარუდგინოს მოხსენება სამოსწავლო ოლქის მზრუნველს. ახლო მომავალში მოხდება დიდი კრება კომისიის მიერ შემუშავებულ გეგმის გადასათვალიერებლად.

წერილები

ს. მრავალძალი. (რაჭა). ცხენის ქურდებმა ჩვენ სოფელს საქმე გაუჭირეს. არ მოიპოვება ისეთი გლეხი, რომელიც ამ ექვსის წლის განმავლობაში სამ-ოთხ ცხენს თვალ-ცრემლიანი არ გამომშვიდობოდეს. სხვათა შორის, ამ სოფლის მღვდელს ერთი წლის განმავლობაში სამი საუკეთესო ჯორი აყიდინეს ზედიზედ და დღეს ერთიც აღარა ჰყავს. საბალახოდან მოტაცებულ ცხენებს რომ აღარ სჯერდებიან, შიგ თავლებშიაც ხშირად გვეწვევიან ხოლმე. ივნისის შუა რიცხვებში გაიტაცეს ექვსი ცხენი და ერთი ჯორი. მოთმინებიდან გამოსული გლეხები იქით ეცნენ, აქეთ ეცნენ და რომ ვერას გახდნენ, თავი მიანებეს. იმავე თვის ბოლო რიცხვებში ტფილისისკენ გავემგზავრე და რადგან მატარებლების მიმოსვლა შეჩერებული იყო, ქუთაისში დავრჩი. ერთ მშვენიერ დილას ჯაჭვის ხიდთან შემთხვევით თვალი მოვკარ ჩემი სახლი-კაცის ცხენს, სწორედ ერთი იმ ექვს ცხენთაგანს, რომელზედაც შემჯდარიყო ჩხარელი ახალგაზდა და მიაქროლებდა. მაშინვე დავედევნე და ცხენიანა პოლიციაში ამოვაყოფინე თავი. ორი დღის შემდეგ მან მოიტანა ნაყიდობის მოწმობა, რომელშიაც ცხენის გამყიდველად აღნიშნული განთქმული ცხენის ქურდი, ქუთაისში მცხოვრები გლეხი. მოწმობა დამტკიცებულია მამასახლისის მიერ... ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ ბაქოდან ჩამოვიდა პატრონი და ცხენი წაიყვანა. ამისთვის საბრალო გლეხი ჩვიდმეტ დღეს ტყუილ-უბრალოდ ათრიეს, ნახევარი ცხენის ფასი დაახარჯვინეს და ბოლოს როგორც იქნა ჩააბარეს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: იმავე ქურდს აღმოაჩნდა მეორე მოპარული ცხენი. ცხენის პატრონი სოფლიდან ჩამოვიდა, მაგრამ პოლიციის დაუდევრობით, პატრონი პირში ჩალა-გამოვლებული დაბრუნდა, ხოლო ქურდი მოპარულ ცხენით დღესაც თავისუფლად დანავარდობს. **მელიტონ მრავალძლელი.**

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მომცეთ, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო შემდეგი ჩემი მორიგება დროებით ვალდებულ გლეხებთან, სოფელს დოესში მცხოვრებთ: ივანე და პეტრე აბრამიძეებს, მელქო, გასპარ, მიხეილ და სოლომ ხეჩიგაშვილებთან, რომელთაც სრულიად დავუთმე სანადელო მიწები. ჩემს საკუთარ მიწებში უნდა მაძლიონ მეათედი შემოსავლისა. ამას გარდა ვაძლევ ნებას საქონლის ძოვებისას მუქთად და ვიღებ ხელს ჩემის მონაწილეობიდან სადავო დოესის ტყეში.

თავ. ალექსანდრე მიხეილის ძე ციციშვილი

II

ბატონო რედაქტორო!

თქვენს გაზეთში ახალ ამბად დაბეჭდილი იყო წერილი სიღნაღიდან, რომლის ავტორი მეც მეხება. აქვე ვაცხადებ, რომ მე დღევანდლამდე პირნათლად ვასრულებ 31 მაისის ინციდენტის გამო ქართლ-კახეთის სამღვდელოების გადაწყვეტილებას ბლაღოჩინის თანამდებობის აუსრულებლობის შესახებ, ხოლო სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან ჩემ მიერ მიღებული ორი კონვერტი შეეხება არა ბლაღოჩინობას, არამედ ჩემდამი რწმუნებულს სანთლის საწყობს. ამისი დამამტკიცებელი ოფიციალური საბუთები ხელთა მაქვს და თუ საჭირო იქნება, ვისაც უნდა და სადაც უნდა, წარვადგენ.

დეკ. სვ. ბეგიაშვილი

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

21 ივლისი

სიტიაზა. რადგანაც ნიაღვრები იყო 16—17 ივლისამდე მდინარე დალიახემ წალეკა ნაპირები. მდინარემ დაახრჩო ერთი აფიცერი დოროშევიჩი, რომელიც ცხენით გადადიოდა მეორე ნაპირას. მისი გვამი იპოვეს 19 ივლისს. ამის გამო ძლიერ გაძნელდა დაზვერვის საქმე. ცენტრიდან გაგზავნილმა მზვერავებმა მიაღწიეს ჩანჩიაჩუნცხის ადგილის ახლოს და შეავიწროვა იაპონიის ცხენოსანი რაზმი. იაპონელები ამაგრებენ ლიტძიატსა და თავს უყრიან იქ ჯარებს. იაპონელები მიგდებული წერილებით არწმუნებენ რუსებს, არ დაზვერონ ადგილები, ვინაიდან ჩქარა ზავზე მოლაპარაკება დაიწყება და ტყუილ-უბრალოდ დაიღვრება სისხლი, თუ შეტაკება მოხდაო. მეორე დღეს, რაც წვიმების შემდეგ გამოიდარა.

ნიუ-იორკი. ვიტტე ხელ-ახლა არღვევს კატეგორიულად, ვითომც მას ეთქვას, რომ არა სწამს მოლაპარაკების კარგად გათავებაო. მან თარჯიმანის საშვალებით განაცხადა, რომ არ უთქვამს ისეთი რამ, რაც ამ აზრით შეიძლება გაიგოს კაცმაო.

პეტერბურგი, 21 ივლ. პოლიციის დეპარტამენტი იუწყება კავკასიის გზის ნოვოროსიისკის სადგურზე მომხდარ არეულობის შესახებ, რომ 15 ივლისს გაიფიცნენ გზის ყველა მუშები, რამაც შეაჩერა მატარებლების მიმოსვლა. მეორე დღეს გაფიცულთ შეუერთდნენ ცემენტის ქარხნებისა ელევატორისა და ყველა ნავთსადგურების მუშები. გუბერნატორმა სცადა ჩაგონებანა სამუშაოსათვის ხელი მიეყოთ მუშებს მაგრამ ამაოდ. აგიტატორების წაქეზების წყალობით მუშები შეეცადნენ დაეკავებინათ ფოსტის მატარებელი. მატარებელი ჯარების მცველობის ქვეშ იქნა გაგზავნილი. 19 ივლისს ათასზე მეტმა ხალხმა დაიჭირა გზის ლიანდაგი და გაემართა ვოკზალისაკენ, რათა მატარებელი დაეკავებინათ. ხალხს წინადადება მისცეს დაშლილიყო, რაზედაც მან უარი განაცხადა; ამის შემდეგ ერთი სოტნა კაზაკები მივარდა ხალხს ხმლებ ამოღებული. მუშებმა რევოლვერები დაუშინეს. მოჰკლეს ერთი კაზაკი. ხალხი მაინც იქითკენ, სადაც ქვეითი ჯარების ერთი როტა იდგა. მთავრობის განკარგულებით ხალხს ტყვიები დაუშინეს, რასაც შედეგად 13 მოკლული და 22 დაჭრილი მუშა მოჰყვა.

ეკსლიბენი, 22 ივლისი. დღეს საღამოს მოვიდა ედუარდი მეფე.

სტამბოლი. პორტამ ელჩებს ნოტით აცნობა, მაკედონელებს ეტყობათ, რომ იგინი შემოდგომისთვის აჯანყებას აპირებენო.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო გაზეთ „სლოვო"-ს 22 ივლისიდან გამოსცეს.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში დილკემ, სხვათა შორის, სთქვა: ინგლის-იაპონიის კავშირის ძალით ინგლისს არ შეუძლიან გულგრილად უცქიროს ზავის პირობებს, შეუძლებელია აგრეთვე სერიოზულად შეეხონ უაზრო წინადადებას სრულის სატევისა და საგარის კავშირის დაჭერის შესახებ, რომელიც ყველა ქვეყნებს ეხება. შეთანხმება, რომელიც შეიძლება მოხდეს, ერთად ერთ სტატუს კვოს უნდა შეეხოს. ინგლისმა ხელი უნდა აიღოს უცხოეთის სამხედრო სახელმწიფოებთან კავშირის შეკვრაზე და უცხოეთის ჯარების შემწეობით ინდოეთის დაცვაზე. გერმანიაზე ამ აზრისაა დილკე, რომ ინგლისს არ შეუძლია ზომები მიიღოს საფრთხის თავიდან ასაცილებლად. საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებთან შეთანხმებით ინგლისის ყველა პარტიები არიან კმაყოფილნი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

22 ივლისი.

პორტ-სმუტი, 22 ივლისი. რუზველტი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ რწმუნებულთა მოლაპარაკება უსათუოდ ზავით გათავდება. ჰფიქრობენ, რწმუნებულთ შორის თუ ჩამოვარდა უთანხმოება, ეს გამოწვეული იქნება არა საზღაურისა, არამედ ტერიტორიის დათმობის საკითხის გამო.

ნიუ-იორკი. დაბეჯითებით ამბობენ, რომ მიკადოს წარმომადგენელმა წინადადება მისცა ორს კაპიტალისტს, ააშენონ იაპონიაში გემების ასაშენებელი ქარხნები, აღუთქვა რა გარანტიად ყოველ წლიური შეკვეთა ორი მილ. დოლ. სალირალისა.

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. ბირჟის წინ ვიტტეს ოვაციებით მიეგებნენ, როცა ის ავტომობილით მიდიოდა რუსის უბნისაკენ. დღეს ის ინახულებს რუზველტს ოისტერ-ბეიში, ხვალ-კი შეხვდება ბარონ კომურას. დღევანდელი გაზეთები უფრო გულითადათ იხსენიებენ ვიტტეს.—სატომ, ლაპარაკის დროს, სთქვა, იაპონიამ ერთი მილიარდი დახარჯა, მაგრამ სამის გადახდას მოითხოვსო. 22 ივლისს ვიტტე და ბარ. როზენი ისაუზმებენ რუზველტთან ოისტერბეიში, სადაც ვიტტე ჩააბარებს რუზველტს ხელმწიფე იმპერატორის საკუთარს წერილს. ამ ჟამად ვიტტე ყველაზედ პოპულიარული პირია ამერიკაში.

ალმორი. იაპონელებმა განუცხადეს სახალინის მცხოვრებთ, ვისაც წასვლა უნდა 12 აგვისტომდე უფასოდ შეუძლია წავიდეს ამურ-ამდეო.

მოჯი. არმიის ფრონტიდან დაბრუნებულმა აფიცერმა აუწყა, რომ საერთოდ რუსებს მანჯურიაში 12 საარმიო კორპუსი ჰყავთ 800 ზარბაზანი აქვთ და ამასთან მუდამ დღე ახალ ახალი ზარბაზნები მოსდით რუსეთიდანო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტი სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.);. 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუაღამის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 სად. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომიაის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, ჩეინა დისამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ლოკშ-გელბორდტი გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 7 ს კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—5)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტოლნი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 ოქოევისა. (30—11)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—16)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის ცახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდევი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурнаго почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, 10 დილის საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—13)

ОТКРЫТА ПРЕДВАРИТЕЛЬНАЯ ПОДПИСКА „ЗАПИСЬЮ"

на 1905 годъ

на ежедневную, политическую, общественно-литературную газету

„КАВКАЗСКІЙ КРАЙ"

съ еженедѣльнымъ иллюстрированнымъ съ каррикатурами приложеніемъ и мѣсячнымъ журналомъ подъ названіемъ „Кавказовѣдѣніе". Ежемѣсячный журналъ будетъ высылаться безплатно только годовымъ подписчикамъ. Первый № ежемѣсячника выйдетъ въ іюлѣ.

Въ непродолжительномъ времени газета будетъ выходить ежедневной, по расширенной программѣ съ политическимъ отдѣломъ. Ожидаются отъ авторовъ, изъявившихъ согласіе на сотрудничество, рукописи и матеріалы. Приглашаются корреспонденты изъ разныхъ городовъ края, а также представители и коммерческіе агенты по сбору объявленій.

Плата за объявленія. Строчки петита: впереди текста—10 коп.; позади текста—5 коп. Многократныя объявленія печатаются со значительной скидкой. Лицамъ, ищущимъ труда—скидка 50%.

Условія подписки. Съ доставкой: на годъ—7 р.; на 6 мѣс.—4 р.; на 3 мѣс.—2 р. на 1 мѣс.—1 р. Безъ доставки на годъ—6 р. Заграницу—14 р. Допускается широкая разсрока.

Редакція газеты „Кавказскій Край" въ виду обоюднаго удобства, какъ для себя, чтобы выяснить будущее число подписчиковъ, такъ и для гг. читателей, чтобы дать возможность безъ замедленія получать газету, а также представить имъ въ уплатѣ денегъ отсрочкой до 25-го сентября, покорнѣйше проситъ читателей, въ случаѣ желанія быть подписчикомъ нашей газеты, подписать и возвратить въ редакцію настоящій отрѣзной бланкъ „Предварительной записи", послѣ чего высылка газеты начнется немедленно и этимъ сбережется время какъ у подписчиковъ, такъ и у редакціи.

Редакція и контора: Тифлисъ, Кочубеевская, д. Эсадзе.

Редакторъ-издатель Б. С. Эсадзе.

(ზ. 6—8).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ზოშმა ბახახბი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერის	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ყვანგულოვისა	1	—

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მისი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

Доз. цен. Тифлисъ, 22 Іюль 1905 г.

Печ. груз. тов. ч—ва „ელექტრონის" სტამბა წიგ. გამომ. ამ—სა